MES 6 22 0000288108

21/03/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 04.03.2022
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 18:58 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი -** შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ერეკლე ასტახიშვილი** - შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის" პროფესორი, სსიპ - შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;
4. **ანზორ ბერიძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში;
5. **ირინა გველესიანი -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
6. **თამარ ზარანდია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
7. **ხათუნა თოდაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი;
8. **მაკა კაჭარავა -** სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
9. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

10. **ლევან მოსახლიშვილი** - სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში;
11. **თეა მჭედლური** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
12. **ეკატერინე ნაცვლიშვილი -** შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ ასოცირებული პროფესორი;
13. **თამარ სირაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
14. **დავით ტეფნაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
15. **ეკატერინე შაკიაშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
16. **დავით ჩოჩიშვილი -** სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
17. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
18. **გურანდა ჭელიძე -** შპს "კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	**ნიკოლოზ ფარჯანაძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
2	**ქეთევან ინანაშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე
3	**ლალი ოდიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
4	**თორნიკე ბაქაქური**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
5	**ნინო ალავიძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
6	**თამარ აფრასიძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
7	**ნინო შიოშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
8	**შოთა კეჟერაშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
9	**თამთა ანთიძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

10	**სოფიკო ქურასბედიანი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
11	**ქრისტინე აბულაძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
12	**ანი ბილანიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
13	**ანა ჯუღელი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
14	**ანა ჯავახიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
15	**ნინო გულიაშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	**სახელი, გვარი**	**საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება**	**სტატუსი**	**საკითხი**
1	ვლადიმერ ღლონტი	**სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, პროფესორი	I,II
2	ლელა თურმანიძე		ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი	I,II
3	მიხეილ დონაძე		კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	I,II
4	გულადი ფარტენაძე		„კომპიუტერული მეცნიერების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	I,II
5	ვახტანგ ბერიძე		„კომპიუტერული მეცნიერების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	I,II
6	ზაზა დავითაძე		„კომპიუტერული მეცნიერების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	I,II
7	დავით მახვილაძე		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	III, IV, V, VI
8	ხათუნამხეიძე		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელისმოადგილე	III, IV, V, VI
9	ნანული დანელია		უნივერსიტეტის ავტორიზაციის და აკრედიტაციის განყოფილების უფროსი	III, IV, V, VI
10	ლენა შატაკიშვილი		ენერგეტიკის ფაკულტეტის დეკანი	III
11				III

	ქეთევან ქუთათელაძე		ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	
12	გიორგი გიგინეიშვილი	**სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**	„ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლოპროგრამისხელმძღვანელი	III
13	ზურაბ გვიშიანი		სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი	IV
14	მარინა ჯავახიშვილი		სამშენებლო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	IV
15	თამაზ ხმელიძე		„მშენებლობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	IV
16	თინათინ დათიაშვილი		სამშენებლო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი	IV
17	გიორგი ქვარცხავა		აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი	V, VI
18	ნინო ლომიძე		აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, „სატყეო საქმის“ სადოქტორო საგანმანათლებლოპროგრამისხელმძღვანელი	V, VI
19	აკაკი გუნცაძე		აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის მენეჯერი	V, VI
20	მალხაზ დოლიძე		აგროინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი	V, VI
21	იოსებ სარჯველაძე		აგრარული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი	V, VI
22	დავით გუბელაძე		„აგროინჟინერიის“ სადოქტორო საგანმანათლებლოპროგრამისხელმძღვანელი	V, VI
23	გიორგი გაგოშიძე		„სატყეო საქმის“ სადოქტორო საგანმანათლებლოპროგრამისხელმძღვანელი	V, VI

აკრედიტაციის ექსპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ**	**საკითხი**
1	მანანა ხაჩიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
2	ავთანდილ თავხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
3	პაატა გერაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
4		(ჩაერთო „ზუმით“)	V

	ინგა დიასამიძე		
5	მამუკა ბენაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VI

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ენერგეტიკისა და ელექტორინჟინერიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მშენებლობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სატყეო საქმის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „აგროინჟინერიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

·დიახ

შუამდგომლობის ინიციატორი უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი ლალი ოდიშვილი. შუამდგომლობა ეხებოდა 2021 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებაში შპს - ევროპის უნივერსიტეტის საბაზო/საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამის გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორებას.

საბჭომ დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა.

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ენერგეტიკისა და ელექტორინჟინერიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მშენებლობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სატყეო საქმის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „აგროინჟინერიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
7. 2021 წლის 21 დეკემბრის შპს ევროპის უნივერსიტეტის საბაზო/საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამის გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ.

1. პირველი საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლოპროგრამის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	09.06.2021 გადაწყვეტილება №548312
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციი სდონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11		0613 - პროგრამული

	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32 უნივერსიტეტის II კორპუსი, ბათუმი, 6010, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

2. მეორე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	09.06.2021 გადაწყვეტილება №548315
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0613 - პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120

14	განხორციელების ადგილი	განხორციელების ადგილი ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32 უნივერსიტეტის II კორპუსი, ბათუმი, 6010, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადეს ანზორ ბერიძემ, თეა მჭედლურმა და თამარ სირაძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი და მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა, მანანა ხაჩიძემ განაცხადა, რომ აკრედიტაციის ვიზიტის პროცესში ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა აქტიური მსჯელობა/აზრების გაცვლა დაწესებულებასთან.ანგარიშში ასახული მასალების შესაბამისად დაწესებულებას შესრულებული აქვს ფაქტობრივად ყველა ძირეული რჩევა/რეკომენდაცია. გარდა ამისა გათვალისწინებულია პერსპექტივაში დასახული საკითხები, რომლებიც სამომავლოდ იყო შეთავაზებული. აღნიშნულ ორ პროგრამაში გაცემული რჩევები/რეკომენდაციები თითქმის იდენტური იყო ამიტომ მათი ცალ-ცალკე გამოყოფა შეუძლებელი იყო.ყველაზე მნიშვნელოვანი იყო სწავლის მიზნებისა და შედეგების შეჯერება. ასევე, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რაც დაწესებულებამ საკმაოდ კარგად წარმოადგინა. საკამათო საკითხი იყომონაცემთა ბაზების სილაბუსები, რომლებიც ჩანაცვლდა უფრო შინაარსობრივად გაღრმავებული სილაბუსებით, სავალდებულო დისციპლინების გადანაწილება მოხდა საკმაოდ რაციონალურად, როგორც იყო შეთავაზებული.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ვლადიმერ ღლონტმა, განაცხადა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემული ყველა რეკომენდაცია მიმართული იყო საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესებისაკენ და დაწესებულების წარმომადგენლებმა სრულად გაიზიარეს და განახორციელეს შესაბამისი ღონისძიებები აღნიშნული რეკომენდაციების შესასრულებლად. გათვალისწინეული იქნარეკომენდაციები რომლებიც ეხებოდა სასწავლო კურსებს, პროგრამასა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელ ნორმატიულ დოკუმენტებს. შესაბამისად დაწესებულების წარმომადგენელთა მოსაზრებით

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები ხელს უწყობს პროგრამების განვითარებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა, განაცხადა, რომ 5.1 კომპონენტში გაცემული იყო რეკომენდაცია - „შემუშავდეს პროგრამაში ჩართული პერსონალის ხარისხის შეფასების პროცესში მონაწილეობის პროცედურა/წესი - როგორ, რითი და რა სიხშირით განსაზღვრავს სწავლის შედეგის მიღწევადობას კონკრეტულ საგანში, რის საფუძველზე გეგმავს ცვლილებებს, როგორ ახდენს ცვლილებების ინიცირებას და ა.შ.“, მისი თქმით, დასკვნაში მითითებული იყო, რომ ვიზიტისას არ იყო წარმოდგენილი მასალები აღნიშნულ საკითხთან დაკავშრებით და ექსპერტს სთხოვა დაეზუსტებინა ინფორმაცია.

ექსპერტმა, მანანა ხაჩიძემ, განაცხადა, რომ წარდგენილი იყო წესი, ზოგადი სახით, მაგრამ რომელი სტატუსის მქონე პედაგოგს რა სიხშირით უნდა გაეკეთებინა არ იყო დაზუსტებული. თუმცა ანგარიშის დოკუმენტაციაში მკაფიოდ იყო გაწერილი, თუ რა მასალებს აგროვებდა საგნის პედაგოგი სემესტრის ბოლოს, ვის გადასცემდა და ა.შ., რაც ხელს შეუწყობდა სწავლის შედეგების შეფასების ობიექტური სურათის მიღებას.

საბჭოს წევრმა, ლევან მოსახლიშვილმა, განაცხადა, რომ სწავლის შედეგების რუკაში დაწესებულებას არჩევითი საგნებიც ჰქონდა გათვალისწინებული და დაინტერესდა, ზოგადად ასეთი პრაქტიკა ჰქონდათ, თუ რატომ აღმოჩნდა არჩევითი საგნები სწავლის შედეგების რუკაში.

ექსპერტმა, მანანა ხაჩიძემ, განაცხადა, რომ საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით თუ გამოყოფილი არ არის ცალკე ბლოკი არჩევით საგნებში, მხოლოდ არჩევითი საგნებით სწავლის შედეგების მიღწევა არ უნდა ხდებოდეს, ძირითადი სწავლის შედეგები ასახული უნდა იყოს ძირითად საგნებში, ის რომ ჩასმულია არჩევითი საგნების გავლენა სწავლის შედეგებზე არაფერს არ აფუჭებს, უბრალოდ აკეთებს დაზუსტებას, თუმცა ის ძირითადი საგნები მიმართულია სწავლის საფეხურის შესაბამისად დონის განსაზღვრაზე, არჩევითი საგნები კი დამატებით, გამაძლიერებლად შეიძლება ჩაითვალოს, თუ რუკაზე წარმოდგენილი იქნებოდა მხოლოდ ძირითადი საგნები არაფერი შეიცვლებოდა, რადგან ძირითადი საგნების სწავლის შედეგები ფარავს პროგრამის სწავლის შედეგებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ლელა თურმანიძემ, განაცხადა, რომ დაწესებულება ამით ზრდიდა პასუხისმგებლობას არჩევითი სასწავლო კურსების განმახორციელებელი პერსონალის მხრიდან და უფრო მეტად იყვნენ დაზღვეულნი, სტუდენტების არჩევისგან, რომ პერიოდულად შეეფასებინათ თუ როგორ მიმდინარეობდა არჩევითი კურსები.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა, განაცხადა, რომ გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაცია - „უნივერსიტეტის შესაბამის დებულებებში მკაფიოდ ჩაიწეროს სტუდენტის სტატუსის მოპოვებს წესი, რის შედეგადაც მკაფიოდ გამოიხატება პროგრამაზე დაშვების წინაპირობა“, მისი განმარტებით დაწესებულებამ იმუშავა აღნიშნულ საკითხზე, თუმცა ანგარიშში პროექტის სახით იყო წარმოდგენილი, დაინტერესდა,იყო თუ არა დამტკიცებული აღნიშნული პროექტი. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დამტკიცებული იყო და ვებ გვერდზე განთავსებული საბოლოო სახით.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ნაშრომის პლაგიატზე შემოწმებისას მსგავსებისმაჩვენებლის რამდენი პროცენტი იყო დაშვებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესის“ მიხედვით.

დაწესებულების წარმომადგენელმა,ვლადიმერ ღლონტმა, განაცხადა, რომ დაწესებულებას აქვს ეტაპობრივი დაშვება 40%-მდე ბაკალავრს/მაგისტრს ეძლევა უფლება გაიტანოს ნაშრომი დაცვაზე, 40-80%-ზე - ნაშრომი ხელმძღვანელის შეფასების, დასკვნის საფუძველზე ექვემდებარება გადამუშავებას და იმავე სემესტრში 2 კვირის განმავლობაში მოხდება მისი თავიდან შეფასება, თუ მსგავსება იქნება 40%-ზე ნაკლები გადის საჯარო დაცვაზე, თუ 80%-ზე მეტია - ნაშრომი იხსნება საჯარო დაცვის პროცედურიდან.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, აღნიშნული ნორმა საერთაშორისო პრაქტიკიდან იყო დადგენილი, თუ რა პრინციპით იქნა შერჩეული.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული მაჩვენებელი განისაზღვრა უნივერსიტეტის სინამდვილისა და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინების საფუძველზე, ანუ დაწესებულების ინდივიდუალური გადაწყვეტილება იყო.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:25
დასრულების დრო: 14:37

აკრედიტაციის საბჭოს მიერ სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√აკრედიტაციის საბჭომსრულადგაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0
საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რჩევა:

- დაწესებულებამ უნდა იმუშავოს პლაგიატის/მსგავსებასთან დაკავშირებულ პროცენტულ მაჩვენებელზე, გაიზიარონ საერთაშორისო პრაქტიკა და ამ მიმართულებით შემუშაონ უკეთესი მიდგომა, რომელიც საერთაშორისო პრაქტიკასთან იქნება მეტად თანხვედრაში.

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციისდებულების 27[6]მუხლისმე - 2 პუნქტისადა 2[11]პუნქტისსაფუძველზესსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზეწარმოდგენილიანგარიშიმიღებულიქნაცნობად.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0
საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რჩევა:

- დაწესებულებამ უნდა იმუშავოს პლაგიატის/მსგავსებასთან დაკავშირებულ პროცენტულ მაჩვენებელზე, გაიზიარონ საერთაშორისო პრაქტიკა და ამ მიმართულებით შემუშაონ უკეთესი მიდგომა, რომელიც საერთაშორისო პრაქტიკასთან იქნება მეტად თანხვედრაში.

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27[6]მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2[11]პუნქტის საფუძველზე სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

3. მესამე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ენერგეტიკისა და ელექტორინჟინერიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია Energy andElectrical Engineering
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	15.06.2021 გადაწყვეტილება №574575
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის მაგისტრი Master of Energy and Electrical Engineering
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ელექტრობა და ენერგია - 0713
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მ. კოსტავას ქ. №77, ქ. თბილისი, სასწავლო კორპუსი №8, 0160, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადეს ეკატერინე შაკიაშვილმა და ლევან მოსახლიშვილმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა, ავთანდილ თავხელიძემ განაცხადა, რომ აკრედიტაციის ვიზიტის დროს პირველი, მეორე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მხოლოდ მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. გაცემული იყო 4 რეკომენდაცია, რომლებზეც დაწესებულებამ იმუშავა და წარმოადგინა ანგარიში, რეკომენდაციები ეხებოდა
ექსპერტმა საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია, პროგრამის სწვალის შედგების გაწერა ცალკეული კონცენტრაციების მიხედვით მომქმედი კანონმდებლობის თანახმად;
- რეკომენდირებულია, სამაგისტრო ნაშრომებში გამოყენებულ იქნას უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული სამეცნიერო ლიტერატურა;
- რეკომენდირებულია, სამაგისტრო ნაშრომების გაფორმებისა და პლაგიატის შემოწმების ერთიანი წესების პრაქტიკაში დანერგვა;
- რეკომენდირებულია, პრაკტიკულქ კომპონენტში განახლდეს ლაბორატორიული მოწყობილობები.

მისი თქმით დაწესებულებამ ანგარიშში წარმოადგინა ინფორმაცია რეკომენდაციების შესრულების შესახებ, რასაც თავად ექსპერტიც დაეთანხმა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ, განაცხადა, რომ აკრედიტაციის პირველ ეტაპზე ძალიან კვალიფიციურმა შეფასებამ განაპირობა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის თავდაუზოგავი შრომა, მათ მაქსიმალურად შეასრულეს ყველა რეკომენდაცია.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრი, მაკა კაჭარავა დაინტერესდა ლიტერატურისა და ლაბორატორიული მოწყობის განახლებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებთან მიმართებით, ვინაიდან ექსპერტს არ განუხორციელებია ვიზიტი დაწესებულებაში, რა ტიპის დოკუმენტაციაზე დაყრდნობით შეაფასა მან აღნიშნული საკითხი, რადგან ეს იყო მატერიალური ფაქტები, დასტურდებოდა თუ არა რაიმე დოკუმენტაციით.

ექსპერტმა, ავთანდილ თავხელიძემ, განმარტა, რომ არსებობდა დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლის ჩამოთვლაც შეეძლო. ლიტერატურაზე იმსჯელა სილაბუსებიდან გამომდინარე, ხოლო ლაბორატორიის შესახებ აღნიშნა, რომ მრავალჯერ ჰქონდა ნანახი ახალი კორპუსი, იქ არსებული ლაბორატორიით, რომელიც არ იყო ჩართული იმ პროგრამასა და სილაბუსებში, სწორედ ამას ეფუძნებოდა ზემოაღნიშნული რეკომენდაცია.
საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ, დააზუსტა, რომ საუბარი ეხებოდა სამაგისტრო ნაშრომებში გამოყენებულ ლიტერატურაზე, ასევე სამაგისტრო ნაშრომებს ეხებოდა ციტირება და პლაგიატთან დაკავშირებული წესი, რომელიც უნდა ამოქმედებულიყო, რადგან წესი არსებობდა, თუმცა საუბარი იყო მის დანერგვა-განხორციელებაზე, დაინტერესდა თუ გამოითხოვა ექსპერტმა 2021 წლის საბოლოო დაცვები და თუ ეს არ გაკეთდა, მაშინ რის საფუძველზე გამოიტანეს დასკვნა.
ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებას არ წარმოუდგენია ნაშრომები, რადგან პროგრამას არ ყავდა ბევრი სტუდენტი, აკრედიტაციის ვიზიტის შემდეგ კი არც იქნებოდაახალი ნაშრომი დაცული, შესაბამისად ახალს ვერ გამოითხოვდა.
საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ, დააზუსტა, რომ საუბარი იყო 2021 წლის, ბოლო დაცვაზე, სადაც რეგულაციით ყველაფერი უნდა ყოფილიყო მითითებული და აკრედიტაციის წინა ვიზიტზე ვერ ნახავდნენ, ერთადერთი საშუალება, რომ დაწესებულებას დაედასტურებინა იქნებოდა ბოლო დაცვა, სადაც უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული.
ექსპერტმა განმარტა, რომ არ ყოფილა წინა აკრედიტაციის შემდეგ ნაშრომის დაცვა.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ლენა შატაკიშვილმა, განმარტა, რომ იყო 6 თვიანი ანგარიში. დაწესებულებას პირველ დეკემბერს ჰქონდა წარმოდგენილი ანგარიში და თებერვლის ბოლოს მოხდა რამდენიმე სამაგისტრო ნაშრომის დაცვა, ამიტომ ვერ წარადგინეს, თუმცა პლაგიატზე შემოწმება და ყველა ის ლიტერატურის განახლება, რაც იყო შენიშვნებში გათვალისწინებული იყო 2021-2022 წელს.
დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ, განაცხადა, რომ ბოლო პერიოდში ნაშრომის დაცვა არ ყოფილა, აკადემიურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ყველა სამაგისტრო ნაშრომი ექვემდებარებოდა პლაგიატის პროგრამაზე შემოწმებას, მოქმედი წესის შესაბამისად, რაც ექსპერტის დასკვნაშიც აისახა. სამაგისტრო ნაშრომიც გადიოდა პლაგიატზე შემოწმებას, თანამედროვე ლიტერატურასთან მიმართებით, კვლევების დროს და თანამედროვე წყაროების გამოყენებისა და ვალდებულების ნაწილში სწავლების დროსაც. შესაბამისად, აკადემიურ დეპარტამენტებთან სამუშაო შეხვედრებზე და ინდივიდუალურად მაგისტრანტებთან/დოქტორანტებთან ყველაფერს აკეთებენ გარდა იმ ჩანაწერებისა, რომლებიც დებულებაში იყო გაწერილი ამ კუთხით.
საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ, აღნიშნა, რომ როგორც მას ახსოვს, განხილვის დროს სწორედ ამ საკითხზე იყო საუბარი, რომ არსებობდა რეგულაციები და მიმდინარეობდა, თუმცა იმ ეტაპზე, ვიზიტის დროს ბოლო დაცვები არ იყო, საუბარი იყო იმაზე, რომ ამ ეტაპზე რა დაცვებიც მიმდინარეობდა მათზე უნდა გათვალისწინებულიყო, უბრალოდ, 2020-2021 წლის დაცვაზე რეგულაციით უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული. მისი თქმით საინტერესო იქნებოდა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებს აღნიშნული ნაშრომები გაეგზავნათ ექსპერტისთვის, რაც მისცემდა მეტ საფუძველს დასკვნის დასაწერად.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ქეთევან ქუთათელაძემ, განაცხადა, რომ ვიზიტის დროს ექსპერტებმა გამოითხოვეს სამაგისტრო ნაშრომები და დაწესებულებამ გაუგზავნა არაერთი ნაშრომი, სწორედ ამის საფუძველზე შეიმუშავეს რეკომენდაცია, რომელიც გაითვალისწინეს დაწესებულების წარმომადგენლებმა, გარდა ზემოაღნიშნული არგუმენტებისა მათ აქვთ სპეციალური სამეცნიერო ბაზები, რომლებიც ანგარიშშიც აისახა და უნივერსიტეტმა ასევე ჩაატარა შეხვედრები სამეცნიერო ბაზების ხელმძღვანელებთან, რისი დამადასტურებელი, შეხვედრის ოქმებიც გადაგზავნილი იყო ექსპერტთან. ასევე, კიდევ ერთხელ მოახდინეს

სტუდენტების ინფორმირება სამეცნიერო ბაზების შესახებ. რეგულაციების მიხედვით ხარისხის სამსახური ამოწმებდა ნაშრომს დაცვაზე გატანამდე, იყო თუ არა შესრულებული მოთხოვნები და თუ არა სტუდენტი ვერ დაიცავდა ნაშრომს.
დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი გიგინეიშვილმა, განაცხადა, რომ 15 ივნისს მიიღეს აკრედიტაციის საბჭოს გადაწვეტილება და რეკომენდაციები, შემდეგ ეს პროცედურები სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და ა.შ. გავლილი ჰქონდათ და მზად ჰქონდათ წარსადგენად, თუმცა ამ პერიოდში წარდგენილი იყო 50 სამაგისტრო ნაშრომი და 50-ვე ნაშრომი შემოწმებულ იქნა, როგორც პლაგიატზე, ასევე წყაროების ადეკვატურობაზე 4 ნაშრომში აღმოჩნდა მსგავსების კოეფიციენტების გადახრა, რის შემდეგადაც დაწესებულებამ მისცა ჩასწორების საშუალება, განმეორებითი შემოწმების დროს აღნიშნული 4 სტუდენტს ნაშრომიც დამაკმაყოფილებელი იქნა და დაშვებულ იქნენ დაცვაზე.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რა ნორმაა დადგენილი მსგავსების კოეფიციენტის.
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ჰქონდათ მსგავსების ორი კოეფიციენტი, 1. 5 სიტყვიან ბაზებს, რომელიც შესაძლებელია იყოს 50%-მდე, 2. 25 სიტყვასა და მეტს, მისი დასაშვები ნორმა 5%-ია. თუ ნაშრომი ვერ დააკმაყოფილებდა აღნიშნულ კრიტერიუმებს ნაშრომი ვერ გავიდოდა დაცვაზე, უბრუნდებოდა სტუდენტს დასაკორექტირებლად და შემდეგ ხელახლა იგზავნებოდა შესამოწმებლად, თუ პლაგიატი აღმოჩნდებოდა ნაშრომი მთლიანად უქმდებოდა, თუმცა სტუდენტს შეეძლო შემდეგ წელ/სემესტრში წარედგინა ნაშრომი.
საბჭოს წევრმა, თამარ სირაძემ, განაცხადა, რომ რაც ნახა გაგზავნილი დოკუმენტაცია, შეფასებების მიხედვით ეს იყო სწორედ ის ოთხი ნაშრომი, რომლებზეც ისაუბრა დაწესებულებამ, მან ვერ იპოვა რეგულაცია, სადაც ახსნილი იქნებოდა თუ რა კოეფიციენტი როგორ ფასდება, დაინტერესდა თუ რის მიხედვით მოქმედებს დაწესებულება, რა კოეფიციენტი რას ემყარება.
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ არსებობდა შესაბამისი პროგრამა „Strikeplagiarism“, დებულებით იყო გაწერილი რა კოეფიციენტი რას ნიშნავს, ასევე, სტუდენტებთან/პროგრამის ხელმძღვანელებთან შეხვედრისას ვალდებულები იყვნენ, რომ ნაშრომზე მუშაობის დაწყებისას შეესრულებინათ ყველა აღნიშნული დებულება/რეკომენდაცია.: , გაფორმების წესი და ა.შ. მათ გაგზავნილი აქვთ შესაბამისი დოკუმენტები და გადიან კონსულტაციებს. მისი თქმით, უშუალოდ მისგან გადიოდა ნაშრომები პლაგიატზე შესამოწმებლად. ყველა სტუდენტმა იცოდა მისი ნომერი, კოორდინატები და შეეძლოთ ნებისმიერ დროს დაკავშირება. მათთან ოფიციალურად იყო ოპერატორი, რომელიც აღნიშნულ საკითხზე მუშაობდა, ამიტომ სრული ინფორმაცია ჰქონდათ სტუდენტებს.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:00
დასრულების დრო: 15:07

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ენერგეტიკისა და ელექტორინჟინერიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რჩევა:

- საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, გაზიარებით, გადაიხედოს მსგავსების კოეფიციენტის 50%-იანი ზღვარი.

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27[6]მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2[11] პუნქტის საფუძველზე სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ენერგეტიკისა და ელექტორინჟინერიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნას ცნობად.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მშენებლობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მშენებლობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	18.06.2021 გადაწყვეტილება №595603
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	მშენებლობის ინჟინერიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია - 0732
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მ. კოსტავას ქ. №68, ქ. თბილისი, სასწავლო კორპუსი №1, 0160, საქართველო
15		-

	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა ეკატერინე შაკიაშვილმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა, პაატა გერაძემ, განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა ანგარიში რეკომენდაციების შესრულების შესახებ, რომელსაც თან ერთვოდა დოკუმენტაცია, ისინი ძირითადად ეხებოდა „მშენებლობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას, აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით 2021 წლის 6 დეკემბერს უნდა წარმოედგინათ ანგარიში, რომელიც წარადგინეს მითითებულ ვადაში, გადაწყვეტილებაში გაწერილიიყო 12 რეკომენდაცია და 4 რჩევა. ინსტიტუციის მიერ არ იქნა გათვალისწინებული რჩევები.

ექსპერტმა საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული გარემოებები რეკომენდაციების შესრულების შესახებ:

- საგანმანათლებლო პროგრამის პირველი მიზანი (შესძინოს კურსდამთავრებულებს ტექნიკური, საინჟინრო, მართვითი და ლიდერის უნარები, საჯარო, კომერციული, საცხოვრებელი და/ან ინდუსტრიული სტრუქტურების (ასევე მათი აღჭურვის) მონტაჟის, აგებისა და მათი შენარჩუნების ტექნოლოგიების ახალი სტრატეგიული მიდგომებით წარმართვისთვის) მოვიდეს შესაბამისობაში პროგრამის შინაარსთან და იყოს რელევანტური სავალდებულო დარგობრივ კურსებთან მიმართებაში - წარმოდგენილ ანგარიშში აღნიშნულია, რომრეკომენდაციის გათვალისწინების მიზნით ინსტიტუციამაკრედიტებული მაგისტრატურის პროგრამა განმეორებითწარუდგინა შრომის ბაზრის სუბიექტებს. მათ ერთხმადაღნიშნეს და დაადასტურეს, რომ პროგრამის მიზნები,სწავლის შედეგები და სასწავლო კურსების ერთობლიობა სრულად შეესაბამება დღევანდელი შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ხაზი გაუსვეს, რომ პროგრამაში უკვე ასახული იყო შრომის ბაზრის სუბიექტების მიერ გამოთქმული რეკომენდაციები და

სურვილები. შესაბამისად, ინსტიტუციამ მიიჩნია, რომ რეკომენდაციის მოთხოვნები პროგრამაში უკვე გათვალისწინებულია. ინსტიტუციის მიერ რეკომენდაციის მიხედვით ცვლილებები არ არის მიჩნეული მიზანშეწონილად;

- რეკომენდებულია პროგრამის მე-5 და მე-6 სწავლის შედეგების მოდიფიცირება, რათა ისინი მეტად მიღწევადი და რეალისტური იყოს - წარმოდგენილ ანგარიშში აღნიშნულია, რომ პროგრამისხელმძღვანელის ინიცირებით მე-5 და მე-6 სწავლისშედეგში განხორციელდა მცირე ცვლილება, დაზუსტდარეკომენდაციით განსაზღვრული საკითხები, კერძოდ, მე - 5სწავლის შედეგი მოდიფიცირების შემდეგ ჩამოყალიბდაშემდეგი ფორმულირებით: „რელევანტური მენეჯერულისტრატეგიების ცოდნით და ეფექტური კომუნიკაციით,ჩართულია მულტიდისიპლინურ გუნდურ საქმიანობაში დასაჭიროებისას იღებს პასუხისმგებლობასგუნდის წევრებისსაქმიანობასადაპროფესიულ განვითარებაზე.“მე-6 სწავლის შედეგი მოდიფიცირების შემდეგჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „აკადემიური ეთიკისსტანდარტების დაცვით, წარადგენს საკუთარ არგუმენტებსდა დასკვნებს მშენებლობის ინჟინერიის სფეროში,როგორც სპეციალისტების, ასევე არასპეციალისტების აუდიტორიის წინაშე“. ინსტიტუციის მიერ რეკომენდაცია გათვალისწინებულია;
- რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები და მიზნებიშესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან - წარმოდგენილ ანგარიშში აღნიშნულია, რომრეკომენდაციის გათვალისწინების მიზნით ინსტიტუციამაკრედიტებული მაგისტრატურის პროგრამა განმეორებითწარუდგინა შრომის ბაზრის სუბიექტებს.მათ ერთხმადაღნიშნესდადაადასტურეს, რომ პროგრამისმიზნები,სწავლის შედეგები და სასწავლო კურსების ერთობლიობასრულად შეესაბამება დღევანდელი შრომის ბაზრისმოთხოვნებს და ხაზი გაუსვეს, რომ პროგრამაში უკვეასახული იყო შრომის ბაზრის სუბიექტების მიერგამოთქმული რეკომენდაციები და სურვილები.ინსტიტუციის მიერ რეკომენდაციის მიხედვით ცვლილებებიარ არის მიჩნეული მიზანშეწონილად;
- საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაციების სწავლის შედეგები გაიწეროსკანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად - წარმოდგენილ ანგარიშში აღნიშნულია, რომ აკრედიტაციისსაბჭოს რეკომენდაციის გათვალისწინებით, პროგრამისხელმძღვანელის ინიცირებით, კიდევ უფრო დაზუსტდაპროგრამის სწავლის შედეგები და გაცილებით ნათლადგამოიკვეთა კონკრეტული კონცენტრაციის სწავლის შედეგიძირითადად ცოდნის და პროფესიული უნარ-ჩვევებისგანვითარების ნაწილში.წარმოდგენილ საბაკალავრო პროგრამაში თითოეულიკონცენტრაციისათვის გაწერილია სპეციფიური სწავლისშედეგები.ინსტიტუციის მიერ რეკომენდაცია გათვალისწინებულია;
- სასწავლო კურსში „ენერგოდამზოგი ტექნოლოგიები მშენებლობაში“ რეკომენდირებულიასათაური და შინაარსი მოვიდეს შესაბამისობაში - რეკომენდაციის გათვალისწინებით ინსტიტუციამსასწავლო კურსში უზრუნველყო დასახელებისმოდიფიცირება, რითაც სათაური შესაბამისობაშიმოვიდაკურსის შინაარსთან. საკითხი განხილულიასამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობისტექნოლოგიების და საშენი მასალების დეპარტამენტში ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში,ფაკულტეტის საბჭოზე.სასწავლო კურსის წარმოდგენილი სილაბუსიადასტურებს წარმოდგენილ ანგარიშში აღნიშნულცვლილებას.ინსტიტუციის მიერ რეკომენდაცია გათვალისწინებულია;
- რეკომენდირებულია კურიკულუმში ასახული იყოს სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისკრიტერიუმები და აღწერილი იყოს პლაგიატზე ნაშრომის შემოწმების პროცესი - წარმოდგენილ ანგარიშში აღნიშნულია, რომ, აღნიშულისაკითხები სტუ-ში რეგულირდება „საქართველოსტექნიკური უნივერსიტეტის დებულებით მაგისტრატურისშესახებ“, ასევე ნაშრომის პლაგიატის არსებობაზეშემოწმების წესით. აღნიშნული დოკუმენტების შესახებინფორმაცია და საჭირო მითითებები

მოცემულიასაგანმანათლებლო პროგრამის აღწერით ნაწილში.წარმოდგენილი პროგრამის კურიკულუმში, მე-5 გვერდზემითითებულია დოკუმენტების ელექტრონულიმისამართები,ინსტიტუციის მიერ რეკომენდაციის მიხედვით;

- სამაგისტრო ნაშრომებში უზრუნველყოფილი იყოს ლიტერატურის მითითების (ციტირება,სქოლიო) ერთიანი სტანდარტის დაცვა - ინსტიტუციის დებულება მაგისტრატურის შესახებარეგულირებს რეკომენდაციაში აღნიშნულ საკითხს დასავალდებულოდ შესასრულებელ ვალდებულებადგანსაზღვრავს ლიტერატურის მითითების (ციტირება,სქოლიო) ერთიანი სტანდარტის დაცვას. აკრედიტაციისპროცესში განხილულ რიგ ნაშრომში არ იყო დაცულიაღნიშნული მოთხოვნა, რამაც გამოიწვია აღნიშნულირეკომენდაციის დაფიქსირება. აღნიშნულირეკომენდაციის გათვალისწინებით,2020-2021 სასწავლოწლის დასრულებისას, სამშენებლო ფაკულტეტზესამაგისტრო ნაშრომების დაცვის ეტაპზე, თითოეულდეპარტამენტში მკაცრად გაკეთდა აქცენტი და მიექცაყურადღება ნაშრომებში ლიტერატურის მითითებისერთიანი სტანდარტის დაცვას. წარმოდგენილიდაცული სამაგისტრო ნაშრომები ადასტურებსრეკომენდაციის გათვალისწინების ფაქტს.ინსტიტუციის მიერ რეკომენდაცია გათვალისწინებულია;
- რეკომენდირებულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების დროს თანამედროველიტერატურის გამოყენება - ანგარიშში აღნიშნულია, რომ რეკომენდაციისგათვალისწინებით, 2020-2021 სასწავლო წლისდასრულებისას, სამშენებლო ფაკულტეტზე სამაგისტრონაშრომების დაცვის ეტაპზე, თითოეულ დეპარტამენტშიმკაცრად მიექცა ყურადღება ნაშრომებში თანამედროველიტერატურის გამოყენების საკითხს, დარგის დაგანსახილველი საკითხის სპეციფიკისგათვალისწინებით. წარმოდგენილი დაცულისამაგისტრო ნაშრომები ადასტურებს რეკომენდაციისგათვალისწინების ფაქტს.ინსტიტუციის მიერ რეკომენდაცია გათვალისწინებულია;
- სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის კითხვარი გამოკითხვის ობიექტურობის ასამაღლებლადუნდა იყოს ანონიმური - როგორც წარმოდგენილ ანგარიშში არისმითითებული, ინსტიტუციაში განხორციელებულინებისმიერი კვლევა ხორციელდებააკადემიური კეთილსინდისიერებისპრინციპის დაცვით, ეთიკის კოდექსისგათვალისწინებით და კვლევაში მონაწილეპირების სრული ანონიმურობის დაცვით.აკრედიტაციის დროს წარმოდგენილკითხვარში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი,რომელიც გასწორებულია. შესწორებულიკითხვარი წარმოდგენილია დანართის სახითანგარიშთან ერთად. კითხვარის შესწორებულვერსიაში ვინაობის დაფიქსირება ხდება მხოლოდაპლიკანტის სურვილის შემთხვევაში.ინსტიტუციის მიერ რეკომენდაცია გათვალისწინებულია;
- რეკომენდირებულია პროგრამის ფარგლებში ამოქმედდეს შიდა ხარისხის მექანიზმები - ინსტიტუციაში შემუშავებულია და მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო პროცესის ყველა შემადგენელი კომპონენტის პერიოდულ მონიტორინგის მიზნით. პროცესის განხორციელებაში მონაწილეობს უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეული. პროცესს მართავს და ხელმძღვანელობს სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან ერთად. შიდა ხარისხის ამ მექანიზმების გამოყენება ხდება მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამასთან „მშენებლობასთან“ მიმართებაშიც. წარმოდგენილ ანგარიშში მითითებულია, რომ შიდა ხარისხის მიმართულებით წარმართულ მუშაობას ცხადყოფს აკრედიტაციის ეტაპზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია: აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვის, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევის, კოლეგიალური შეფასების შედეგები და ანალიზი; ფაკულტეტის აკადემიური პერონალის მიერ ჩატარებული მეცადინეობების ხარისხის კვლევა, კურსდამთავრებულთა

გამოკითხვის შედეგების ანალიზი; სტუდენტების გამოკითხვის შედეგები, სტუდენტების კმაყოფილების კვლევის შედეგები, სწავლის შედეგების შეფასების ანალიზის შედეგები. ინსტიტუციის მიერ რეკომენდაციის მიხედვით ცვლილებები არ არის მიჩნეული მიზანშეწონილად;

- სილაბუსებში გამოყენებულ იქნას სწავლის შედეგების რელევანტური შეფასების მეთოდები - წარმოდგენილ ანგარიშში აღნიშნულია, რომგანმახორციელებელმა პერსონალმა გაიარა ტრენინგისასწავლო კურსში სწავლის შედეგების შეფასებისმეთოდების შესახებ.ფაკულტეტის ხარისხისუზრუნველყოფის სამსახურის მხარდაჭერითხორციელდებოდა სამუშაო შეხვედრები დაინდივიდუალური კონსულტაციები სასწავლო კურსისავტორებთან, სილაბუსის სპეციფიკის შესაბამისად,სწავლა-სწავლების ფორმების და შეფასებისმეთოდების ჩამოყალიბების საკითხში. ფაკულტეტისთითოეულ დეპარტამენტში და ასევე ფაკულტეტისსაბჭოს სხდომაზე განმეორებით მოხდა თითოეულისასწავლო კურსის განხილვა შესაბამის ავტორებთანერთად. ინსტიტუციის მოსაზებით, ამ ეტაპზე, შეფასებისმეთოდები არ საჭიროებს ცვლილებებს. დროთაგანმავლობაში პროგრამის სწავლის შედეგებისშეფასების მონიტორინგით დადგინდება ცვლილებებისსაჭიროება და კონკრეტულად მინიშნება იმ სასწავლოკურსებზე, სადაც რეკომენდირებული იქნებაგარკვეული ცვლილებების განხორციელება;

საბჭოს წევრის, ლევან მოსახლიშვილის, თქმით, რეკომენდაციების შესახებ აღინიშნა, რომ დაწესებულება ზოგიერთ მათგანს იზიარებს, ან არ იზიარებს. იგი პირველ რიგში დაინტერესდა ექსპერტის დამოკიდებულებით ამ საკითხთან მიმართებით, როგორც ექსპერტი - იზიარებდა თუ არა დაწესებულების წარმომადგენელთა მოსაზრებებს, ასევე სთხოვა დაეკონკრეტებინა, მაგ. სილაბუსებთან მიმართებით სწავლის რომელ მეთოდებზე იყო საუბარი. კონცენტრაციების შესახებ მან განმარტა, რომ დოკუმენტაციაში არ ჩანდაიყო თუ არა მიბმული სწავლის შედეგების რუკასთან.

ექსპერტმა, პაატა გერაძემ, კონცენტრაციების შესახებ განაცხადა, რომ რეკომენდაციის მიხედვით, კანონით დადგენილი წესის ფარგლებში უნდა ყოფილიყო გაწერილი კონცენტრაციები/სწავლის შედეგებიცალკე უნდა იყოს გამოყოფილი, თუმცა, მარეგულირებელ დოკუმენტში არ არის ასე გაწერილი, მაგრამ რადგან ავალდებულებენ, დაწესებულებას, მან მოახდინა ცალკეული კონცენტრაციების სწავლის შედეგების გაწერა, ეს მითითებულია პროგრამის კურიკულუმში, ყოველ კონცენტრაციას აქვს სწავლის შედეგები, თუმცა ეს სწავლის შედეგები გადის რაღაც საერთო, ზოგად სწავლის შედეგებზე ზოგად ნაწილში არის მითითებული, რაც შეეხება კურიკულუმის რუკას, იგი არ იქნა წარმოდგენილი დანართების სახით და არც ექსპერტმა მოითხოვა, რადგან სწავლის შედეგები გაწერილი იყო პროგრამაში.

საბჭოს წევრმა, ლევან მოსახლიშვილმა განაცხადა, რომ სტანდარტშიც ეწერა, თუ რის მიხედვით უნდა გადამოწმებულიყო. დაინტერესდა - რა პრინციპით გადაამოწმა ექსპერტმა ემთხვეოდა თუ არა პროგრამის შედეგებს.

ექსპერტმა, პაატა გერაძემ, განმარტა, რომ წარმოდგენილ კურიკულუმში ცალკეული კონცენტრაციისთვის გაწერილი სწავლის შედეგები აკმაყოფილებდა იმ პირობას, რომ ცალკეული კონცენტრაციისთვის პროგრამა სახავდა სხვადასხვა სწავლის შედეგების მიღწევას.

საბჭოს წევრი, ლევან მოსახლიშვილი დაინტერესდა, თუ რა დოკუმენტის საფუძველზე დაადგინა ექსპერტმა.

ექსპერტმა, პაატა გერაძემ განაცხადა, რომ დადგენილია კურიკულუმის საფუძველზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მარინა ჯავახიშვილმა, ისაუბრა თითოეულ რეკომენდაციაზე:

პირველი (საგანმანათლებლო პროგრამის პირველი მიზანი (შესძინოს კურსდამთავრებულებს ტექნიკური, საინჟინრო, მართვითი და ლიდერის უნარები, საჯარო, კომერციული,

საცხოვრებელი და/ან ინდუსტრიული სტრუქტურების (ასევე მათი აღჭურვის) მონტაჟის, აგებისა და მათი შენარჩუნების ტექნოლოგიების ახალი სტრატეგიული მიდგომებით წარმართვისთვის) მოვიდეს შესაბამისობაში პროგრამის შინაარსთან და იყოს რელევანტური სავალდებულო დარგობრივ კურსებთან მიმართებაში) და მესამე (რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები და მიზნები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან) - რეკომენდაციის შესახებ განაცხადა, რომ ჯერ კიდევ სანამ პროგრამა გაიგზავნებოდა სააკრედიტაციოდ, პროგრამა გაგზავნილ იქნა 13დამსაქმებელ ორგანიზაციაში, მათ შორის ა(ა)იპ - ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაცია, რომელიც აერთიანებს 120 სამშენებლო კომპანიას, ასევე სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საიდანაც მიიღეს შესაბამისი გამოხმაურებები, რომლებიც თან ახლავს პროგრამას, როცა ის წარდგენილ იქნა აკრედიტაციისთვის, მას შემდეგ, რაც პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია, აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობა“, ხელახლა გაეგზავნა შრომის ბაზრის რამდენიმე წარმომადგენელს შპს - „დაგი“, ა(ა)იპ - ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაცია და ა.შ. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და დამატებითი სურვილების გამოთქმისათვის, თითოეული კომპანიის მიერ დამატებით განხორცელდა პროგრამის შეფასება, რომლებიც თან ერთვის წარმოდგენილ ანგარიშს, აღნიშნულმა კომპანიებმა დაადასტურეს, რომ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და სასწავლო კურსების ერთობლიობა სრულად შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და მათ მკაფიოდ გაუსვეს ხაზი, რომ პროგრამაში უკვე ასახული იყო მათ მიერ გამოთქმული რეკომენდაციები და სურვილები, რაც ასევე დააფიქსირეს პროგრამის აკრედიტაციის მიზნით ცენტრში, რომ მათი რეკომენდაციები სრულად იყო ასახული პროგრამაში. როგორც ცნობილია, პროგრამა არის ცოცხალი ორგანიზმი და ის სრულიად დამოკიდებულია სამშენებლო ბაზარზე, ეს არის ერთ-ერთი მთავარი პროგრამა არა მარტო ფაკულტეტისთვის, არამედ ქვეყნისთვისაც, რადგან პრიორიტეტს წარმოადგენს.

მეორე რეკომენდაციის (რეკომენდებულია პროგრამის მე-5 და მე-6 სწავლის შედეგების მოდიფიცირება, რათა ისინი მეტად მიღწევადი და რეალისტური იყოს) შესახებ განაცხადა, რომ მეხუთე სწავლის შედეგში განხორციელდა მცირე ცვლილებები და დაზუსტდა ის საკითხები, რასთან დაკავშირებითაც ექპერტთა ჯგუფის მხრიდან გამოითქვა მოსაზრებები. მეექვსე სწავლის შედეგიც მცირედ მოდიფიცირდა .

მეოთხე რეკომენდაციის (საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაციების სწავლის შედეგები გაიწეროს კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად) შესახებ აღნიშნა, რომ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამას „მშენებლობა“ აკრედიტაციის ეტაპზე ჰქონდა შვიდი სწავლის შედეგი, რომელიც კონცენტრაციის წილობრივი მოცულობის შესაბამისად სრულად უზრუნველყოფდა პროგრამის შვიდივე კონცენტრაციისათვის სწავლის შედეგების განსაზღვრას, თუმცა აკრედიტაციის საბჭოს აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებით, პროგრამის ხელმძღვანელის თამაზ ხმელიძის ინიცირებით, კიდევ უფრო დაზუსტდა პროგრამის სწავლის შედეგები და გაცილებით ნათლად გამოიკვეთა კონკრეტული კონცენტრაციის სწავლის შედეგი ძირითადად ცოდნის და პროფესიული უნარ ჩვევების განვითარების ნაწილში.

მეხუთე რეკომენდაციის (სასწავლო კურსში „ენერგოდამზოგი ტექნოლოგიები მშენებლობაში“ რეკომენდირებულია სათაური და შინაარსი მოვიდეს შესაბამისობაში) შესახებ დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია გაითვალისწინა სილაბუსის ავტორმა და შესაბამისად შეცვალა.

მეექვსე რეკომენდაციის (რეკომენდირებულია კურიკულუმში ასახული იყოს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები და აღწერილი იყოს პლაგიატზე ნაშრომის შემოწმების პროცესი) შესახებ განიმარტა, რომ პროგრამის აღწერით ნაწილში აღნიშნული საკითხი ვრცლად ვერ გაიწერა, რადგან ეს არის მოცულობითი დოკუმენტი, აღწერით ნაწილში მითითებულიაბმულები, რომელზე გადასვლის შედეგადაც პირდაპირ აღმოჩნდებიან გვერდზე, სადაც ატვირთულია ყველა დოკუმენტი.

მეშვიდე რეკომენდაციის (სამაგისტრო ნაშრომებში უზრუნველყოფილი იყოს ლიტერატურის მითითების (ციტირება, სქოლიო) ერთიანი სტანდარტის დაცვა) შესახებ განიმარტა, რომ დაწესებულებას დამატებით მოსთხოვეს 2020-2021 წლებში დაცული სამაგისტრო ნაშრომების გადაგზავნა, რაც, რა თქმა უნდა, გადაგზავნეს და ექსპერტმა დაადგინა, რომ საკითხები სრულად მოგვარებული/გადაწყვეტილია, ასევე მითითებული იყო ლიტერატურა, თუმცა დაშვებული იყო გარკვეული ტიპის ხარვეზები, ზოგან არ იყო მითითებული წელი, თუმცა, ბოლოს გადაგზავნილ ნაშრომებში ჩანს, რომ წესების დაცვით არის შესრულებული ყველაფერი.
მერვე რეკომენდაციის (რეკომენდირებულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების დროს თანამედროვე ლიტერატურის გამოყენება) შესახებ აღინიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციის გათვალისწინებით, 2020-2021 სასწავლო წლის დასრულებისას სამშენებლო ფაკულტეტზე სამაგისტრო ნაშრომების დაცვის ეტაპზე თითოეულ დეპარტამენტში მკაცრად მიექცა ყურადღება ნაშრომებში თანამედროვე ლიტერატურის გამოყენების საკითხს, დარგის და განსახილველი საკითხის სპეციფიკის გათვალისწინებით.
მეთერთმეტე რეკომენდაციის (სილაბუსებში გამოყენებულ იქნას სწავლის შედეგების რელევანტური შეფასების მეთოდები) შესახებ დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რეაკრედიტაციის მზადების ეტაპზე, პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა გაიარა სხვადასხვა განმავითარებელი ტრენინგები, რომელიც შეეხება უშუალოდ სასწავლო კურსში შეფასების რელევანტური მეთოდების გამოყენებას, გარდა ამისა, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხარდაჭერით ხორციელდებოდა სამუშაო შეხვედრები, ასევე ინდივიდუალური კონსულტაციები სასწავლო კურსების ავტორებთან სილაბუსის სპეციფიკის შესაბამისად სწავლა-სწავლების ფორმებისა და შესაბამისი მეთოდების ჩამოყალიბების საკითხებზე. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს კონკრეტულად შეფასების მეთოდების შესახებ მითითება დაზუსტებით არ დაწერილა, თუმცა დაწესებულების წარმომადგენლებმა მაინც გაამახვილეს ყურადღება და აღნიშნულის გათვალისწინებით და სასწავლო კურსების დამუშავების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სასწავლო კურსებში სწავლის შედეგების შეფასების რელევანტური მეთოდების შერჩევას, აკრედიტაციის პროცესში აღნიშნული რეკომენდაციის გაწერის გამო, თითოეულ დეპარტამენტში/ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე განმეორებით დეტალურად განიხილა თითოეული სასწავლო კურსი, რომელიც დარგის სპეციალისტების მოსაზრებით შეფასების მეთოდების შეცვლის საჭიროებას ითხოვს, სილაბუსის ავტორებს გააცნეს აღნიშნული რეკომენდაციები და მათ კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ შეფასების ნაწილში სრულად ეთანხმებოდნენ მათ მიერ გაწერილ შეფასებებს, უმჯობესია პროგრამა დაელოდოს სწავლის შედეგების შეფასების მონიტორინგის შედეგებს და ამ პროცესის დროს გამოკვეთილი შედეგები ნათლად გამოაჩენს რეალური ცვლილებების საჭიროებას, ამასთანავე კონკრეტულად მიანიშნებს იმ სასწავლო კურსებზე, სადაც რეკომენდირებული იქნება გარკვეული ცვლილებების განხორციელება.
მეცხრე რეკომენდაციის (სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის კითხვარი გამოკითხვის ობიექტურობის ასამაღლებლად უნდა იყოს ანონიმური) შესახებ მან განაცხადა, რომ იყო რაღაც გაუგებრობა, კითხვარი ნამდვილად არის ანონიმური, თუმცა მიმდინარეობს ვებ-გვერდის რეორგანიზაცია, დაემატა ახალი სვეტი, სადაც სტუდენტს მისი სურვილიდან გამომდინარე შეუძლია დააფიქსიროს ან არ დააფიქსიროს საკუთარი სახელი და გვარი.
მეათე და მეთორმეტე რეკომენდაციების (რეკომენდირებულია პროგრამის ფარგლებში ამოქმედდეს შიდა ხარისხის მექანიზმები) შესახებ აღინიშნა, რომ ეს ორი რეკომენდაცია აბსოლუტურად იდენტურია, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ამოქმედებულია შიდა ხარისხის მექანიზმები და სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად მუდმივად აკონტროლებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ასევე ფაკულტეტზე რექტორის ბრძანებით შექმნილია საფაკულტეტო კომისიები და ამ ეტაპზე საფაკულტეტო კომისიების მიერ ხდება მატერიალური რესურსის შეფასება, აკრედიტაციის ეტაპზე, აღნიშნული პროგრამისთვის წარმოდგენილი იყო

ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებაში. ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგები, კოლეგიალური კვლევის შედეგები, რომლითაც ფასდება საფაკულტეტო კომისიის მიერ ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის კმაყოფილების ხარისხი, რაც სრულად იყო წარმოდგენილი კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების ანალიზში, ეს კითხვარი და სხვა საჭირო დოკუმენტაცია აქვთ ფაკულტეტზე, სტუდენტების გამოკითხვის შედეგები, ფაკულტეტზე სტუდენტების მხრიდან თითოეული აკადემიური პერსონალის შეფასება, სტუდენტის კმაყოფილების კვლევის შედეგები, სწავლის შედეგების შეფასების ანალიზის შედეგები, ყველა ზემოაღნიშნული დოკუმენტი თან ახლდა აკრედიტაციაზე გაგზავნილ პროგრამას.

ექსპერტმა, პაატა გერაძემ, მეთერთმეტე რეკომენდაციის შესახებ განაცხადა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია დაამატა აკრედიტაციის საბჭომ.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, დავით მახვილაძემ, განაცხადა, რომ ყველა მიღებული რეკომენდაცია ძალიან სასარგებლო იყო დაწესებულებისთვის, იმისათვის, რომ რაღაცაში დარწმუნებულიყვნენ ან კიდევ უფრო წინ წაეწიათ. მას არ სურდა საბჭოს ჩაეთვალა, რომ დაწესებულებამ რომელიმე რეკომენდაცია უგულებელყო ან არ შეასრულა, მათ ყველა რეკომენდაცია დიდი გულისყურით განიხილეს და ობიექტური მოცემულობიდან გამომდინარე არ შეცვალეს სიტყვები სინონიმებით, რათა რეკომენდაცია შესრულებულად ჩათვლოდათ, მათ ობიექტური მოცემულობით, განხილვების შედეგად (რომლებშიც კვალიფიციური წარმომადგენლობა იყო წარმოდგენილი) ყველა შესაძლო საჭიროება, რაც რეკომენდაციებით იყო გაწერილი შეასრულეს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ლევან მოსახლიშვილმა, განმარტა, რომ იგივე კითხვა ჰქონდა დაწესებულებასთან კონცენტრაციის საკითხთან, სილაბუსებთან და სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით. მაგალითად, გადაგზავნილ სამაგისტრო ნაშრომებში, სტუდენტს მიღებული ჰქონდა 99 ქულა, პრაქტიკულად უმაღლესი შეფასება. დაწესებულების წარმომადგენელთა მოსაზრებით, გაზიარებულია ყველა რეკომენდაცია, მათ შორის, ლიტერატურასთან დაკავშირებითაც, თუმცა საბჭოს წევრის მოსაზრებით, თუ ნაშრომში ლიტერატურა არ არის განახლებული და ციტირების წესი, რომელიც უნივერსიტეტს აქვს დადგენილი, არ არის დაცული, საინტერესოა, რაში გამოიხატებოდა რეკომენდაციის შესრულება.

საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ, განაცხადა, რომ შესაძლებელია ახსოვდეს კიდეც დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის უფროსს, რომ წინა აკრედიაციის საბჭოს დროს, სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამების განხილვისას, პირველი კითხვა იყო - თუ როგორი ნაშრომები იყო მომზადებული წლების განმავლობაში, რა ლიტერატურა იყო გამოყენებული. ბუნებრივია, ნაშრომის შინაარსში საბჭოს წევრი ვერ შევიდოდა, თუმცა მთელი წელი თანხმდებოდნენ, რომ ეს იყო პრობლემა და შესაბამისად ასახულია დასკვნებშიც, სწორედ ამიტომ დაინტერესდა, თუ რატომ არ გამოითხოვა ექსპერტმა ახალი ნაშრომები. მან მიმართა ექსპერტს და სთხოვა განემარტა, როდესაც ამბობს, რომ გამოსწორდა, რეალურად არის თუ არა სიტუაცია გამოსწორებული, მაგ., ლიტერატურის ნაწილში, ციტირების ნაწილში და ა.შ., ასევე, გასაგებია, რომ დაწესებულება მუშაობს აღნიშნულ საკითხზე.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, განაცხადა, რომ მას სურდა დაზუსტება ზოგიერთ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც წინა აკრედიტაციის საბჭომ გასცა, შესაძლებელია ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონოდა დაფიქსირებული გარკვეული რეკომენდაციები, თუმცაღა, საბჭოს აქვს უფლებამოსილება,დაამატოს რეკომენდაცია წარდგენილი დოკუმენტაციის და/ან ზეპირი მოსმენისას გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე. მისი თქმით, როდესაც მაშინდელი საბჭოს წევრი გიორგი ღაღანიძე სვამდა კითხვას შრომის ბაზრის კვლევის შესახებ, აქცენტი არ ყოფილა დასმულიშრომის ბაზრის კვლევის ამსახველი დოკუმენტის არარსებობაზე, უბრალოდ, დაწესებულებას ერთი დოკუმენტი ჰქონდა წარმოდგენილი სამივე საფეხურის პროგრამისათვის, რომელიც ეფუძნებოდა ერთი საერთო კითხვარის გამოყენებით

მიღებულ შედეგებს,სადაც დამსაქმებლებმა ერთობლივად შეაფასეს სამივე პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები და საერთო სურათი წარუდგინეს დაწესებულებას,. ამიტომ ამ დოკუმენტში არ იყო იდენტიფიცირებული ის, თუ კონკრეტულად რომელ კომპეტენციებს- რა მოცულობის ცოდნა-უნარებს - მოითხოვდა დამსაქმებელისაბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულისაგან. ამასთან, ხაზგასმული იყო ის გარემოებაც, რომ, დარგის და პროგრამის სპეციფიკისა და მნიშვნელოვნების გათვალისწინებით, დაწესებულებას უნდა გაეზარდა შრომის ბაზრის კვლევის არეალიასევე, მნიშვნელოვანი იყო დაწესებულებას გამოეყენებინა სხვადასხვა კითხვარიდამსაქმებლის, კურსდამთავრებულებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვისათვის, რათა, საბჭოს წევრების მოსაზრებით, მკაფიოდ გამოკვეთილიყო საბაკალავრო პროგრამისთვის რას ითხოვს პროფესორი და შრომის ბაზარი, ასევე რას ითხოვს სამაგისტრო პროგრამისგან შრომის ბაზარი. ძალიან მნიშვნელოვანი იყო გამიჯვნა, რადგან სხვადასხვა საფეხურის პროგრამის კურსდამთავრებულს ერთი და იგივე კომპეტენცია ვერ ექნებოდა , სწორედ ამიტომ უნდა გამოკვეთილიყო სიღრმეც. რაც შეეხება სწავლის შედეგებს, მისთვის გასაგებია დაწესებულების პოზიცია, თუმცა როდესაც ცალკეულ სილაბუსში/პროგრამაში გაწერილია სწავლის შედეგი, შედეგის მიღწევადობაზე საუბრისას არ არის საუბარი მარტო ფორმულირებაზე, სწავლის შედეგის მიღწევისთვის არსებობს რელევანტური სწავლის მეთოდი და შეფასების მეთოდი, მაგ., პირობითად, ისეთი უნარი, როგორიცაა ლიდერობა, გუნდურობა, დაგეგმვა, ამ უნარების მიღწევის დადასტურება წერილობით გამოკითხვის საფუძველზე, რომ არ/ვერ ფასდება - ეს ნამდვილად არ არის სადავო, პროგრამასა და ცალკეულ სილაბუსებში ეწერა ასე ფორმულირებული სწავლის შედეგები და სწორედ ამიტომ იყო გაცემული რეკომენდაცია. ამასთან, ინსტიტუციის გადასაწყვეტი იყო, შეეძლოთ შეეცვალათ სწავლის შედეგის ფორმულირება (მაგ., ფორმულირება „ავლენს ლიდერულ უნარებს“ ან „მართავს გუნდს“ შეიძლება შეიცვალოს ფორმულრებით „მსჯელობს ლიდერისათვის მახასიათებელ უნარ-ჩვევებზე“ ან„განიხილავს გუნდის მართვის სტრატეგიებს“)თუ მაინცდამაინც ზეპირი/წერითი გამოკითხვაა მისაღები სწავლებისას, ესეც მათი გადასაწყვეტია, მაგრამ თუ, მაგ., სასწავლო კურსმა შემუშავება/განხორციელების პრატიკული უნარ-ჩვევები უნდა განუვითაროს, ასეთი კურსებისა და სწავლის შედეგებისათვის წერილობითი/ზეპირი გამოკითხვა რელევანტური ვერ იქნებოდა. ის, რომ ექსპერტთა ჯგუფს აღნიშნული შენიშვნა არ ქონდა, ეს ექსპერტთა ჯგუფის პრობლემაა და არა საბჭოსი, თუ არ არის აღნიშნული რეკომენდაცია გამოსწორებული, მისი მოსაზრებით,ეს არ არის სწორი მიდგომა. მან სთხოვა დაეზუსტებინათ, ასეთი ტიპის რეკომენდაციებთან დაკავშირებით, რა პოზიცია დაიკავა უნივერსიტეტმა, ელოდებიან პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესს და თვითშეფასებამდე აპირებენ, რომ ისევ ფორმალურად იყოს ცალკეულ სილაბუსებსა თუ თავად პროგრამაში სწავლის შედეგი გაწერილი და ყველამ იცოდეს, რომ ვერ იქნება მიღწეული, თუ არსებობს სხვა გამოსავალიც.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დავით მახვილაძემ, კონცენტრაციებთან, ლიტერატურასთან და ნაშრომებში ხარვეზების მიუხედავად მაღალ შეფასებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ კონცენტრაციებთან მიმართებით უნივერსიტეტს ჰქონდა განსხვავებული დამოკიდებულება კონცენტრაციების სწავლის შედეგებთან მიმართებაში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №69/ნ იძლეოდა ორმაგი განმარტების შესაძლებლობას, რეკომენდაციის მიღების შემდეგ, მათ არა მხოლოდ ამ პროგრამაზე, არამედ სხვა პროგრამებზეც ინდივიდუალურად გაწერეს თითოეული კონცენტრაციის სწავლის შედეგი, თუმცა ამ კონცენტრაციის სწავლის შედეგებს შინაარსობრივი ცვლილება არ შეუტანია იმ ძირითად სწავლის შედეგებში, რომლითაც პროგრამამ თავის დროზე გაიარა აკრედიტაცია, ანგარიშის წარმოდგენის პირობით, იმ სასწავლო კურსთან მიმართებაში, რომელი სასწავლო კურსი, რომელ სწავლის შედეგებზე და რა ხარისხით ზემოქმედებს, თუ არ არის საბჭოს წევრებისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაცია, დაწესებულების წარმომადგენლებს შეეძლოთ გაგზავნა. კონცენტრაციების სწავლის შედეგების მიღწევადობის შესახებ მან განმარტა, რომ ამ ნაწილში შინაარსობრივად არ ყოფილა პრობლემა,

აკრედიტაციის პროცესში, შესაბამისად დაწესებულებას ამ ნაწილში აქცენტირება არ გაუკეთებია, დოკუმენტაციაში, თუმცა თითოეული კონცენტრაციის სწავლის შედეგებზე ზემოქმედების კუთხით, ისე არის გადანაწილებული კონცენტრაციები, რომ, საბოლოო ჯამში, ნებისმიერი კონცენტრაციის არჩევის პირობებში, სტუდენტმა უნდა დაძლიოს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგი, ასევე თემატიკის შესაბამისად კონცენტრირებულია კვალიფიციურად კონკრეტულ სასწავლო კურსზე, რომელსაც თავისი სწავლის შედეგები აქვს და ზემოქმედების კუთხითაც კონცენტრაციებში შემავალი სასწავლო კურსები გაღრმავება/განმტკიცების ნაწილში იმ კონკრეტული მიმართულებით ზემოქმედებენ სწავლის შედეგებზე, სწორედ ამ პრინციპით არის აწყობილი კონცენტრაციები. დაწესებულების წარმომადგენელმა ლიტერატურის შესახებ განაცხადა, რომ დაწესებულებამ ძალიან დიდი შრომა გასწია და ჯერ არ დაუსრულებიათ, აქ არ არის საუბარი პროგრამის ხელმძღვანელის სტატუსის ახალი დოკუმენტის დადებაზე, ახალი რეგულაციები და ვალდებულებები აკადემიური პერსონალის საქმიანობაში, სასწავლო კურსის ავტორებთან მიმართებაში, საუბარი არ არის მხოლოდ დოკუმენტაციაზე, განსახილველი პროგრამა საკმაოდ დიდია, სტუდენტების რაოდენობითაც, ჩართული პერსონალით, თუმცა ყველა ფაკულტეტზე, ხარისხის სამსახური და ჩართული პერსონალი იბრძვის ამისთვის, ვითარება წინა გარე შეფასების და ამჟამინდელი შეფასების არის რადიკალურად განსხვავებული, მაგრამ შინაარსობრივად, მათ შორის ციტირების ნაწილი, რომელიც აქვს დაწესებულებას მაგისტრატურის დებულების შესაბამისად, თუ რა ფორმით ხდება თითოეული წყაროს მითითება ნაშრომში, ისევე, როგორც დადგენილია შეფასების კრიტერიუმები და დაწესებულების წარმომადგენლები ამას არა მხოლოდ წერენ, არამედ მაქსიმალურად მიიტანონ თითოეულ პასუხისმგებელ აქტორამდე. მან გამოხატა მზაობა კონკრეტული ნაშრომის დასახელების შემთხვევაში პასუხი გაეცათ დაწესებულების წარმომადგენლებს.

საბჭოს წევრმა, ლევან მოსახლიშვილმა, განაცხადა, რომ საუბარია, მაგ., მ.დ-ს სამაგისტრო ნაშრომზე - „ქ. ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის შენობის მაყურებელთა დარბაზის კონსტრუქციული გადაწყვეტა“, რომლის წყაროებში - სამ წყაროდ „ვიკიპედიაა“ მითითებული და მეოთხედ „სპუტნიკი“, საინფორმაციო სააგენტო, რომელიც დაიბლოკა საქართველოში, შესაბამისად წყაროც არარელევანტურია, დანარჩენი მთლიანი ლიტერატურა საერთოდ ქართულია, და მხოლოდ სტანდარტებია მითითებული, შეფასება კი 99 ქულაა, ამასთანავე საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ თავადაც სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტია და მისთვის ცნობილია, თუ როგორ იწერება ნაშრომი, შესაბამისად ზემოაღნიშნული ნაშრომი და სტანდარტი ერთმანეთის შესაბამისი არ არის, სხვა სტანდარტი აქვს უნივერსიტეტს დაწესებული.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დავით მახვილაძემ, საბჭოს წევრის, ანზორ ბერიძის კითხვის პასუხად განაცხადა, რომ წინა აკრედიტაციის საბჭოს წევრები ხედავდნენ, თუ როგორ ვითარდებოდა უნივერსიტეტი, მართლაც, რადიკალური განსხვავებაა, მაგ., რადიკალური განსხვავებაა, მათ შორის პერსონალის დამოკიდებულება, სამეცნიერო ხელმძღვანელი იქნება თუ დეკანატის წარმომადგენელი, ძალიან კვალიფიციურია ამ კუთხით, თუ რაიმე ფილტრის დავიწროება უნდათ, მათ შორის „ვიკიპედია“ და ა.შ. ძალიან მარტივი საპოვნელია, მაგრამ მაინც გადასამოწმებლად, ამ ჭრილში ხარისხი არის განსაკუთრებით ამაღლებული. საბჭოს წევრის, ეკატერინე ნაცვლიშვილის კითხვის პასუხად მან განაცხადა, რომ არ არის ისე , რომ დაწესებულებამ თითქოს არ მიიღო რეკომენდაცია ექსპერტებისგან და ამიტომ არ ჩათვალეს რეკომენდაციების შესრულება საჭიროდ, ეს დამოკიდებულება გაუმართლებელი/მიუღებელია დაწესებულებისთვისაც, ამიტომ, არ სურთ, რომ ასე ეგონოს საბჭოს. დაწესებულებამ საბჭოს მიერ დასმული აქცენტებით სთხოვა კურსის ავტორებს აღნიშნული რეკომენდაციის განხორციელება, თუმცა თუ კურსის ავტორი ამბობს, რომ ეს არის ის, რაც უნდა იყოს, ამ შემთხვევაში მიდის დადგენა კონკრეტული სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, თუ არ არის მიღწევადიცდილობენ სხვა გზის არჩევას უფრო მეტად

არგუმენტირებულად მოთხოვნისთვის. თუმცა, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შესული ინფორმაციით, იმ პროცესმა აჩვენა, რომ არ სჭირდებოდა სასწავლო კურსებს ცვლილებები ამ კუთხით.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, განაცხადა, რომ ექსპერტმა გაამახვილა ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ აღნიშნული რეკომენდაცია ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდა გაცემული. კითხვა ზეპირი მოსმენის საფუძველზე დაისვა.. მისი თქმით, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, მარინა ჯავახიშვილმა აღნიშნა, რომ სწავლის შედეგების შეცვლა სამომავლოდ გადადეს. საბჭოს წევრისთვის გასაგებია, რომ სილაბუსის ავტორს შეიძლება სურდეს აუდიტორიაში ასწავლოს სტუდენტს „ცურვა“ და ასაბუთებდეს ამ უნარის აუდიტორიაში განვითარება-შეფასების რელევანტურობას, მაგრამ ყველასთვის ცნობილია, რომ ის ამ შედეგს ამ გზით მიაღწევს - ვერც ასწავლის და ვერც შეაფასებს სხვა რელევანტტური აქტივობებისა თუ მეთოდების გარეშე. ამ შემთხვევაში რა უნდა ქნას დაწესებულებამ და პროგრამის განვიტარებაზე პასუხისმგებელმა ჯგუფმა? დაელოდონ/უყურონ სილაბუსის ავტორის პოზიციას თუ ან სწავლის შედეგი შეცვალონ და თქვან, რომ, ამ გზით ისწავლება მაგ., „ცურვის ისტორია“ და შეცვალონ სწავლის შედეის ფორმულირება თუ დატოვონ სასურველი შედეგი და მის მისაღწევად „აუზთან“ მიიყვანონ სტუდენტი.
დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დავით მახვილაძემ, დასძინა, რომ ამხელა კონტრასტზეა საუბარი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მარტივად ზემოქმედებს ამ საკითხზე. შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით დაეთანხმა საბჭოს წევრს, რომ საუბარი იყო არეალის გაფართოებაზე, თუმცა, საქართველოში არსებული შრომის ბაზარი უნივერსიტეტის მოქმედი პროფესორები და მაღალი კურსის სტუდენტები არიან ან კურსდამთავრებულები, თავიდან ბოლომდე ის შემადგენლობა, რომელიც ამ ეტაპზეც არის წარდგენილი და სრულად ფარავს იმ მოსაზრებებს რაც არსებობს მშენებლობის შრომის ბაზარზე, ამ ნაწილში რაიმე ხარვეზი არ არსებობს, რომ დააკლდეთ რაიმე ინფორმაციის მიღება, ზემოაღნიშნული ასოციაცია 120-ზე მეტი კვალიფიციური ორგანიზაციისგან შედგება, ასევე ურთიერთობა აქვთ ერთ ინსტიტუციასთან, რომლის უკან არის ძალიან ბევრი ინსტიტუცია, მათ შორის პირადი ურთიერთობები აქვთ დამსაქმებლებთან.
სამშენებლო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტმა, თინათინ დათიაშვილმა სილაბუსში სწავლის შედეგების მიღწევასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სილაბუსებთან ერთად დაწესებულებამ წარადგინა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, სადაც ნათლად არის გაწერილი რომელი სწავლის შედეგი, რომელი სასწავლო კურსით ვითარდება და მიიღწევა, რაც შეეხება გუნდურობის მომენტს, არის რაღაც საკითხები, პროგრამაში შემოტანილი, მაგ., გუნდური მუშაობა, გუნდის მართვა და ისეთი საკითხები, რომლებიც აღნიშნულ პროგრამაში არ არსებობდა, ეს არის საკითხები, რომლებიც საერთაშორისო პროგრამების გამოცდილების გაზიარებას ეხება, რომლის გადმოტანის სურვილი მათაც ჰქონდათ, თუმცა ამ საკითხების გადმოტანა არ მოხდა ასე უხეშად, სწავლების მეთოდების თვალსაზრისით კი დამუშავდა ახალი მიდგომები, რომლებსაც თითოეული სილაბუსი, რომელსაც დაევალა სწავლის შედეგის განვითარება თავის შედეგში მოიაზრა და შეფასებადი გახადა გუნდურობა, რომელიც ფასდება, იწერება შესაბამისი ქულა სხვადასხვა მეთოდის მიხედვით, მიმდინარეობის დროს მაქსიმალურად ცდილობენ, როგორც სილაბუსის სწავლის შედეგი ასევე, პროგრამის სწავლის შედეგი თავისი შეფასების მეთოდებით იყოს მიღწევადი, რაც მუდმივად დახვეწის/განვითარების საკითხია, ვინაიდან რეკომენდაცია გაჟღერდა და არ იყო მითითებული კონკრეტული სასწავლო კურსები, დაწესებულების წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით გაარჩიეს ყველა სილაბუსი, იმ კონკრეტული მომენტისათვის არ გამოიკვეთა კონკრეტული საკითხი, რომელიც სილაბუსის ავტორისა და დეპარტამენტის მოსაზრებით ცვლილებას საჭიროებდა, მაგრამ, როგორც კი სასწავლო წელი დასრულდება ისევ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით მოხდება პროგრამის თითოეული სილაბუსის

სწავლის შედეგების ანალიზი, რომელშიც გამოიკვეთება თუ რამდენად იქნა სილაბუსში გაწერილი სწავლის შედეგები მიღწეული, თუ რომელიმე სილაბუსში სწავლის შედეგების მიღწევის პრობლემა დგება, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კვალიფიციურ ადამიანებთან ერთად უკეთებს მონიტორინგს და მაშინვე მიმართულ ცვლილებას იწვევს, სწორედ ამიტომ დაელოდნენ სემესტრის დასასრულს, რომ ცვლილებას უფრო მასშტაბურად, სიღრმისეულად მიდგომოდნენ და გამართლებული საფუძვლის მქონე არგუმენტები გაეძლიერებინათ, როგორც სწავლების მეთოდი, ისე სწავლის შედეგი და შეფასების მეთოდი. კონცენტრაციების შესახებ მან განმარტა, რომ როდესაც დაწესებულებამ აკრედიტაციის პროცესში შემოიტანა პროგრამა, წარმოდგენილი ჰქონდათ კონცენტრაციის თითოეული სწავლის შედეგი რომელი სასწავლო კურსებით მიიღწევა, უკვე გაწერილი იყო კონცენტრაციების ცალკეული, ინდივიდუალური, სწავლის შედეგები თავისი შეფასების მექანიზმით.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, მარინა ჯავახიშვილმა, სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ალბათ საუბარი იყო ერთ-ერთი სამაგისტრო ნაშრომზე, მან (მაგისტრანტმა) გაიტანა ბრწყინვალე სამაგისტრო ნაშრომი, ისეთი რომ მათემატიკის ინსტიტუტიდან ესწრებოდნენ წარმომადგენლები და მათემატიკის ინსტიტუტშიც კი მიიწვიეს.

საბჭოს წევრმა, ლევან მოსახლიშვილმა, დასძინა, რომ საუბარი იყო მ.დ-ს ნაშრომზე.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, მარინა ჯავახიშვილმა, განმარტა, რომ მისი პროექტი ნამდვილად განხორციელდა ზუგდიდის თეატრში, ეს იყო ცოცხალი სამუშაო, ჩართული იყო მის ხელმძღვანელთან ერთად, მოხდა კონსტრუქციების გაძლიერება.

საბჭოს წევრმა, ლევან მოსახლიშვილმა, დააზუსტა, რომ მისი კითხვა გულისხმობდა, უნდა იყოს თუ არა მითითებული ლიტერატურა სწორად და, მაგ., რამდენად სწორად მიაჩნიათ დაწესებულების წარმომადგენლებს „ვიკიპედიას“ და „სპუტნიკის “ გაწერა გამოყენებულ ლიტერატურად სამაგისტრო ნაშრომში.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, მარინა ჯავახიშვილმა, განაცხადა, რომ ხარისხის სამსახური მაქსიმალურად ცდილობს/აკონტროლებს და ნაშრომს არ აწერენ ხელს ლიტერატურის შემოწმების გარეშე, თუმცა შესაძლებელია რაღაც ხარვეზები მაინც გაეპარათ, პროგრამამ აკრედიტაცია ზაფხულში გაიარა, დაწესებულება მაქსიმალურად ცდილობდა გაეთვალისწინებინა რეკომენდაციები. მან დადო პირობა, რომ მკაცრად გაკონტროლდებოდა ნაშრომებში ლიტერატურის ნაწილი.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დავით მახვილაძემ დასძინა, რომ რთულია ამ პირობის დადება. მან განმარტა საბჭოს წევრის კითხვა, რომელიც მდგომარეობდა შემდეგში, რომ დაწესებულების დებულებები ამბობს რაში რა იწერება და როგორ იწერება, და მისთვის გასაკვირი იყო, რომ ნაშრომის ლიტერატურაში აღმოჩნდა ზემოაღნიშნული წყაროები. მისი თქმით, აღნიშნული პრობლემა ნაწილობრივ აღმოფხვრილია და მისი სურვილია 100%-მდე ავიდნენ. მან განწყობის კვლევაზე განაცხადა, რომ მათთან მუშაობს ანონიმური/ნებაყოფლობითი, რაც დანერგილია, თუმცა წინა საბჭოს დროს არ იყო დანერგილი, დანერგეს ახალი პლატფორმა, სადაც გაითვალისწინეს ხარისხის მართვის პანელი და ამ ეტაპზე ცენტრალურადაც და ფაკულტეტის დონეზეც ერთი პატარა მოქმედებით შესაძლებელია ყველა სტუდენტთან გაუშვან კითხვარი ანონიმურად/ნებაყოფლობით, ასევე სოფტი უზრუნველყოფს კითხვარის მონაცემების დამუშავებას.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, დააზუსტა - ნაშრომი, რომელზეც საუბარი იყო, დაცულია აკრედიტაციის საბჭომდე თუ რეკომენდაციების გაცემის შემდეგ.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, მარინა ჯავახიშვილმა, აღნიშნა, რომ ეს არის ახალი ნაშრომები, ზაფხულში დაცული.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, დასძინა, რომ გამოყენებულ წყაროდ ისევ ფიგურირებს „ვიკიპედია“.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დავით მახვილაძემ, განაცხადა, რომ რეკომენდაციების მიღებიდან 2-3 დღეში შედგა ნაშრომების დაცვა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:20
დასრულების დრო: 16:51

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტის დასკვნაში ასახული შეფასება.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მშენებლობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილ ანგარიშზე, აკრედიტაციის პირობების შესრულების მიზნით ხუთი თვის ვადაში მონიტორინგის გახორციელების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0
აკრედიტაციის საბჭომ დაწესებულებას შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია პროგრამისსამაგისტრო ნაშრომების შეფასებისა და სამეცნიერო ლიტერატურის გამოყენების ნაწილში ამოქმედდეს შიდა ხარისხის მექანიზმები
- რეკომენდირებულია ჩატარდეს შრომის ბაზრის კვლევა „მშენებლობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში
- ანტიპლაგიატის პროგრამის ნაწილში საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, გადაიხედოს მზგავსების კოეფიციენტის 50%-იანი ზღვარი.

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის 2^{11} პუნქტის, 31-ე მუხლის საფუძველზე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მშენებლობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით აკრედიტაციის საბჭომ გადაწყვიტა, აკრედიტაციის პირობების შესრულების მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამაზე მონიტორინგის განხორციელება ანგარიშის განხილვიდან 5 თვის ვადაში, 2022 წლის 4 აგვისტოსათვის.

5. მეხუთე საკითხი:სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სატყეო საქმის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სატყეო საქმე
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული

4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	11.06.2021 გადაწყვეტილება N 559368
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინადასახელება	სატყეო საქმე
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 8
9	კვალიფიკაციის დასახელება	სატყეო საქმის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალურისფეროსდასახელებადაკოდი (ISCED – F – 2013)	0821 - მეტყევეობა
12	სწავლებისენა	ქართული
13	ECTS კრედიტებისჯამურირაოდენობა	60
14	განხორციელებისადგილი	საქართველო, 0192, ქ.თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. N17, 11 კორპუსი.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადა ეკატერინე შაკიაშვილმა.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა, ინგა დიასამიძემ, განაცხადა, რომ წარმოადგენდა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სატყეო საქმის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის დასკვნას. მისი თქმით, წინა აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაითვალისწინა დასკვნაში ასახული შეფასებები, დაამატა რიგი რეკომენდაციები, ზოგიერთი რეკომენდაცია გადავიდა რჩევაში, პირველ, მესამე და მეოთხე სტანდარტში პროგრამა შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მეორე და მეხუთე სტანდარტში პროგრამა შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. დაწესებულებამ შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც დაწვრილებით შეისწავლა ოქმში ასახული რჩევები/რეკომენდაციები და გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაციები, სამუშაო ჯგუფი შედგებოდა 11 ადამიანისაგან, მასში ჩართული იყო პროგრამის ხელმძღვანელი, დამსაქმებელი, დოქტორანტი, კურსდამთავრებული, აკადემიური პერსონალი, ასევე ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის ხელძღვანელი/სპეციალისტი და ფაკულტეტის მენეჯერი.

ექსპერტმა საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული გარემოებები რეკომენდაციების შესრულების შესახებ:

1. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვეშრომის ბაზრის მოთხოვნებთან - დაწესებულებამ გაითვალისწინა საბჭოს რეკომენდაციადა საანგარიშო პერიოდში სადოქტორო პროგრამაში„სატყეო საქმე“ რეკომენდაციებისგათვალისწინებისთვის შექმნილ სამუშაო ჯგუფისშემადგელნლობაში ჩართო პარტნიორიდაწესებულების წარმომადგენლი. დამატებითგანხორციელდა შრომის ბაზრისა და დამსაქმებლებისმოთხოვნების ანალიზი, რომელიც აისახა პროგრამის სწავლის შედეგში;
2. პროგრამის სწავლის შედგებში მკაფიოდ გამოჩნდეს პროგრამის კურსდამთავრებულისაკადემიური კომპეტენციები - დაწესებულებამ გაითვალისწინა საბჭოს მიერგაცემული რეკომენდაცია და „სატყეო საქმის“სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგებშიმკაფიოდ ასახა აკადემიური კომპეტენციები;
3. რეკომენდირებულია სწავლების პრაქტიკული ნაწილის გაძლიერება დარგობრივ სასწავლოკურსებში - ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციაგაითვალისწინა დაწესებულებამ. სასწავლო კურსისსილაბუსებში გადაიხედა და განისაზღვრაპრაქტიკული და სასემინარო ნაწილი. კერძოდ, შეიცვალა შემდეგ სილაბუსებში: „სატყეო რესურსებისეფექტური გამოყენება სატყეო ეკოლოგიისთანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით“ (15ლექცია/30 პრაქტიკული); „ტყეთმცოდნეობისგავრცობილი კურსი“ (30 ლექცია/45 პრაქტიკული), „ტყის ეკოსისტემები და მათი დაცვა“ (15 ლექცია/30სემინარი);
4. რეკომენდირებულია სადისერტაციო ნაშრომების შესრულების დროს გამოყენებულ იქნასუახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ლიტერატურა - დაწესებულება აღნიშნავს, რომ აღნიშნულრეკომენდაციას გაითვალისწინებენ. მაგრამ ამ ეტაპზერეკომენდაციის შემდეგ სატყეო საქმის სადოქტოროსაგანმანათლებლო პროგრამას არ ჰყოლიაკურსდამთავრებული;
5. რეკომენდირებულია სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროსსაერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ინდექსირებულ იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალშისტატიის/პუბლიკაციის გამოქვეყნება - რეკომენდაცია შესრულებულია. დაწესებულებამშეიტანა ცვლილება სადოქტორო დებულებაში.საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისდოქტორანტურის დებულება დამტკიცებულიააკადემიური საბჭოს 2021 წლის 20 აგვისტოს №01-05-04/135 დადგენილებებით) მუხლი 10;
6. რეკომენდირებულია სწავლების მეთოდებში დაემატოს სიმულაციური მეთოდი, რაცთანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად საკმაოდ ეფექტურად

ინერგებაევროპის საგანმანათლებლო ინსტიტუციებში - რეკომენდაცია გათვალისწინებულია. სასწავლოკურსების სილაბუსში „სწავლების მეთოდები“მეცხრე კვირაში დაემატა სიმულაციური მეთოდი;
7. სილაბუსებში გამოყენებულ იქნას სწავლის შედეგების რელევანტური შეფასების მეთოდები - რეკომენდაცია გათვალისწინებულია. სასწავლოკურსების სილაბუსებში გადაიხედასწავლება/სწავლის შეფასების მეთოდი. კერძოდშემდეგ სილაბუსებში დაკორექტირდა:„სამეცნიერო კვლევის მეთოდები სატყეოსაქმეში“; „სატყეო რესურსების ეფექტურიგამოყენება სატყეო ეკოლოგიის თანამედროვემოთხოვნათა გათვალისწინებით“;„ტყეთმცოდნეობის გავრცობილი კურსი“; „ტყისეკოსისტემები და მათი დაცვა“;
8. პროგრამის აკადემიური მდგრადობისთვის გაიზარდოს პროგრამაში ჩართული აკადემიურიპერსონალის რაოდენობა - დაწესებულებამ გაითვალისწინარეკომენდაცია.გამოაცხადა კონკურსი 2021 სექტემბრიდანაკადემიური თანამდებობა დაიკავასადოქტორო პროგრამაში ჩართულმაპერსონალმა. ამჟამად სადოქტოროპროგრამას ახორციელებს აკადემიურიპერსონალი;
9. გაძლიერდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობისუზრუნველსაყოფად - დაწესებულებამ გაიზიარა რეკომენდაცია.წარმოადგინა მექანიზმი, თუმცა პროგრამამაკრედიტაცია მიიღო 2021 წლის 11 ივნისს(პროგრამა იყო შეჩერებული, შესაბამისად, დისერტაციის დაცვა არ მომხდარა) შესაბამისადამ ეტაპზე ვერ ხერხდება სწავლის შედეგებისმონიტორინგის სრულყოფილადგანხორციელება. კვლევითი კომპონენტის,დისერტაცის დასრულების და დაცვის შედეგებისშეფასება განხორციელდება დისერტაციის დაცვისშემდგომ;
10. რეკომენდირებულია პროგრამა იყენებდეს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას (სხვაუსდ-ებში დასაქმებული ქართველი და/ან უცხოელი კოლეგების მიერ) პროგრამის გაუმჯობესებისმიზნით - რეკომენდაცია შესრულდა.პროგრამა იყენებს განმავითარებელკოლეგიალურ შეფასებას. შეფასებებიმიღებულია პოზნანის უნივერსიტეტის სატყეოფაკულტეტიდან, ბათუმის შოთა რუსთაველისსახელწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიურიფაკულტეტიდან, ბათუმის ბოტანიკური ბაღიდან დასაქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელაბუსერიძის სახელობის სასწავლოუნივერსიტეტიდან. აღნიშნულ შეფასებებში არარის წარმოდგენილი რეკომენდაციები,დადებითადაა შეფასებული „სატყეო საქმის“სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა.შეფასებები წარმოდგენილია დანართების სახით;
11. საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების და უცხოური უნივერსიტეტებისანალოგიური პროგრამების უკეთ დადარებისათვის რეკომენდირებულია შეფასებაშიჩართული იქნას სატყეო დარგის მქონე ევროპის სხვა ქვეყნების სასწავლო პროგრამებიც - დაწესებულებამ გაიზიარა რეკომენდაცია.საერთაშორისო გამოცდილებას ძირითადადპოზნანის უნივერსიტეტის სატყეო და სატყეო-ტექნოლოგიური ფაკულტეტისგან იზიარებენ.წარმოდგენილია ანალოგებიც თუმცა არ ჩანს,რომელი სასწავლო კურსი შემოიტანესანალოგი პროგრამისგან;
ანაგარიშში არ იყო ინფორმაცია რჩევების გათვალისწინებით შესახებ, რისი უფლებაც ჰქონდა უნივერსიტეტს, მიუხედავად ამისა ექსპერტის თქმით, დაწესებულების მიერ გაზიარებულია ყველა რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დავით მახვილაძემ განაცხადა რომ ექსპერტმა საკმაოდ დეტალურად წარმოადგინა ანგარიში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ განაცხადა, რომ როგორც ექსპერტმა აღნიშნა, სადოქტორო დებულებაში შევიდა ცვლილება, თუმცა წინა საბჭოს დროსაც ბევრჯერ იქნა გაცემული რეკომენდაცია, დისერტაციის დაცვამდე დაშვების წინაპირობად ინდექსირებულ ჟურნალში სტატიის გამოქვეყნების შესრულება, და აქვე აღნიშნა, რომსაბჭო მიუთითებდა, თუ რომელი ინდექსირებული ჟურნალები იგულისხმებოდა, ამიტომ ის დაინტერესდა, ახლანდელ დებულებაში,რომელი მაღალრეიტინგულიჟურნალები იგულისხმებოდა, რადგან ვერ ნახა ჩამონათვალი. ასევე დაინტერესდა 5.3 კომპონენტში გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, თუ რამდენად შეიძლებოდა ჩათვლილიყო შესრულებულად, რადგან საუბარია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებასა და უცხოურ ანალოგებთან დადარების შესახებ, მე-5 დანართში წარმოდგენილია მხოლოდ პოზნანის გამოხმაურება/შეფასება, ხოლო მე-6 დანართში არის ერთგვერდიანი, ანალოგების ბმულების ჩამონათვალი, ყოველგვარი დადარებების გარეშე, საუბარი იყო ბენჩმარკინგის დოკუმენტზე, შესაბამისად დაინტერესებდა, თუ რამდენად შეიძლება ჩათვლილიყო აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებად.

ექსპერტმა, ინგა დიასამიძემ, განაცხადა, რომ ინსტიტუციას არ აქვს წარმოდგენილი კონკრეტული ჟურნალები, მაგრამ მუხლი 10-ში მითითებულია, რომ მაღალრეიტინგულ ჟურნალში უნდა იყოს გამოქვეყნებული, რაც დარგის სპეციფიკიდან გამომდინარეობს, მაგ., სატყეო საქმეს სხვა მაღალრეიტინგული ჟურნალები ექნება, ამიტომ შეუძლია შემდეგში თვითონ განსაზღვროს ინსტიტუციამ.

საბჭოს თავმჯდომარემ, სთხოვა ექსპერტს დაეზუსტებინა ჰქონდა თუ არა უნივერსიტეტს განსაზღვრული ჟურნალების კონკრეტული ჩამონათვალი.

ექსპერტმა განმარტა, რომ ჟურნალების ჩამონათვალი არ იყო დოკუმენტაციაში, თუმცა ეწერა, რომ მაღალრეიტინგულ იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალში უნდა ყოფილიყო, რაც გაწერილია საუნივერსიტეტო დებულებაში.

საბჭოს წევრი, ლევან მოსახლიშვილი, დაინტერესდა, რომ ამგვარ შემთხვევებში, როდესაც არ არის ზემოღშნიშნული ინფორმაცია მითითებული, ექსპერტი რეკომენდაციის ასეთ შესრულებას დადებით შეფასებას აძლევდა თუ უარყოფითს.

ექსპერტმა განმარტა, რომ რადგან საუბარი საუნივერსიტეტო დებულებაზეა, ყველა დარგისთვის ვერ განსაზღვრავდნენ ჟურნალების ჩამონათვალს, მაგრამ აღნიშნულ შემთხვევაში შესაძლებელია ასეთი ჩანაწერი.

საბჭოს წევრმა თეა მჭედლურმა განაცხადა, რომ თუ უნივერსიტეტს უწერია, რომ უნდა იყოს იმპაქტ ფაქტორი, ეს ნიშნავს, რომ განსაზღვრული აქვს და პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს.

საბჭოს წევრმა ლევან მოსახლიშვილის განმარტებით მან იგულისხმა, რომ როდესაც ექსპერტმა იცის საკითხის მნიშვნელოვნება, როგორ ახდენს აღნიშნული საკითხის გადამოწმებას.

საბჭოს წევრი, თეა მჭედლური, დაეთანხმა საბჭოს წევრს.

ექსპერტმა ინგა დიასამიძემ განაცხადა, რომ რადგან დებულებაში გაწერილია რომ იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალში უნდა ჰქონდეს გამოქვეყნება, შემდეგ სადისერტაციო საბჭოზე თვითონ უნდა შეამოწმონ, 6 თვიან ვადაში არ იყო კურსდამთავრებული, რომ ექსპერტს გადაემოწმებინა ნაშრომი სად იყო გამოქვეყნებული.

საბჭოს წევრი, ლევან მოსახლიშვილი, დაინტერესდა თუ როგორ ამოწმებდა ამას ექსპერტი.

ექსპერტმა, ინგა დიასამიძემ, განმარტა, რომ ამ ეტაპზე ამის გადამოწმების საშუალება არ ჰქონდა. 5.3 კომპონენტთან დაკავშირებით, მან განაცხადა, რომ დაწესებულება ნაწილობრივ ითვალისწინებს და მჭიდრო კავშირი აქვს პოზნანის უნივერსიტეტთან, რაც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, სხვა უნივერსიტეტების პროგრამის ანალოგების ჩამონათვალი აქვს, მაგრამ არ არის დადარებული.

საბჭოს წევრი, ეკატერინე ნაცვლიშვილი, დაინტერესდა - ჰქონდა თუ არა ექსპერტს საშუალება დაედარებინა რეკომენდაციების მიხედვით ძველი პროგრამა ახალს. ასევე, დაინტერესდა სწავლის შედეგების ფორმულირებასთან, სწავლების მეთოდების, შეფასების მეთოდების გამოყენებასთან დაკავშირებით აქვს თუ არა დაწესებულებას შესრულებული რეკომენდაცია.

ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებას შესრულებული ჰქონდა აღნიშნული რეკომენდაცია.
საბჭოს წევრი, ეკატერინე ნაცვლიშვილი დაინტერესდა -რაიმე ტექნიკურ ხარვეზს ხომ არ ჰქონდა ადგილი დოკუმენტაციის გადაგზავნისას და სილაბუსები, რომლებიც გადაგზავნილი იყო, ძველი სილაბუსი ხომ არ იყო ჩარჩენილი, მმან კონკრეტულ მაგალითად დაასახელა, სასწავლო კურსის „სწავლების მეთოდები“ სილაბუსი.
ექსპერტმა დასძინა, რომ მე-9 კვირაში დამატებული იყო სიმულაციური მეთოდები, რომელიც რეკომენდირებული იყო.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ნინო ლომიძემ, განაცხადა, რომ რაც იყო რეკომენდაციაში მოთხოვნილი, შეიძლება დასკვნის პროექტშიც ინახოს, რაც იყო ექსპერტების მხრიდან მოთხოვნილი, ეს იყო სიმულაციური მეთოდის დამატება.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, დააზუსტა სიმულაციური მეთოდი თემად იყო დამატებული თუ სწავლების მეთოდად.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ნინო ლომიძემ, დასძინა, რომ დამატებული იყო თემად. მისი თქმით, რაც რეკომენდაციაში იყო გაწერილი ის შესრულდა.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, ჩამოთვალა გაწერილი სწავლის შედეგები:

1. „განსაზღვრავს სწავლების თანამედროვე მეთოდების სფეროს უახლეს მიღწევებს“;
2. „ახდენს არსებული ცოდნის სისტემურ და კრიტიკულ გააზრებას“;
3. „ცოდნას იყენებს ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვის, განხორციელებისა და ზედამხედველობისათვის, ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდების/მიდგომების შემუშავებისათვის, რომლებიც ორიენტირებულია ახალი ცოდნის შექმნაზე“;
4. „წარმართავს სასწავლო აქტივობებს პრაქტიკულ საქმიანობაში, იყენებს სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებსა და ტექნოლოგიებს“;
5. „არჩევს სწავლების სტრატეგიებს, მეთოდებსა და მათი გამოყენების გზებს“.

მისი თქმით, სწავლებისა და შეფასების მეთოდებში სიმულაციის მეთოდები დამატებულია თემად, თუმცა ამ ყველაფრის შეფასება ხდება რეფერატით/ზეპირი გამოკითხვით. მისი მოსაზრებით,გაუგებარია თუ როგორ გადის ინოვაციური კვლევის უნარებზე პროგრამა სწავლების მეთოდების კურსით, როდესაც ამ კურსის სილაბუსში მსგავსი თემადაც კი არ არის. ასევე, გაუგებარია - სილაბუსშივე გაწერილი სწავლის შედეგი „წარმართავს სასწავლო აქტივობებს პრაქტიკულ საქმიანობაში, იყენებს სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებსა დატექნოლოგიებს“როგორ მიიღწევა და დასტურდება-ფასდება ლექტორის მიერ ზეპირი გამოკითხვით. ან ექსპერტი, ან დაწესებულება როგორ ადასტურებს მის მიღწევადობას. მან ითხოვა აღნიშნული საკითხის განმარტება. მან ასევე დასძინა, რომ ლიტერატურაში პროფესიული განათლების სახელმძღვანელოა ჩადებული.
საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ, განაცხადა, რომ როდესაც საბჭო გასცემდა რეკომენდაციას დაშვების წინაპირობების შესახებ ყოველთვის ეკითხებოდნენ ექსპერტთა ჯგუფს დარგის სპეციფიკა იძლეოდა თუ არა იმის საშუალებას რომ ყოფილიყო იმპაქტ ფაქტორის მქონე კონკრეტულ სამეცნიერო ბაზებში ინდექსირებული, რეკომენდაციაში ნახსენებია სამეცნიერო ბაზები, თუმცა არ არის დაკონკრეტებული თუ რომელ სამეცნიერო ბაზებზეა საუბარი, რაც ღიად დაუტოვესინსტიტუციას, რომ დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე განესაზღვრათ რომელ სამეცნიერო ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალებს გულისხმობს/თვლის საჭიროდ, რომ კონკრეტულ სადოქტორო პროგრამაზე განსაზღვროს. აქედან გამომდინარე ბუნებრივია, დებულებაში ვერ იქნება დაკონკრეტებული, მაგრამ სადოქტორო დონეზე არის თუ არა შესაძლებელი დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე დაკონკრეტდეს თუ რომელ სამეცნიერო ბაზაში ინდექსირებული სტატია ჩაითვლება რელევანტურად, Web Of Science, Scopus თუ სხვა სპეციფიკური ბაზა იქნებოდა მისაღები კონკრეტული სადოქტორო პროგრამისთვის. საბჭოს

წევრი აღნიშნული საკითხით დაინტერესდა, როგორც ექსპერტის ასევე დაწესებულების მხრიდან.
ექსპერტმა ინგა დიასამიძემ განაცხადა, რომ შესაძლებელია მითითებული ყოფილიყო Web Of Science, Scopus ან რომელიმე ბაზის, რადგან სატყეო საქმის სამეცნიერო კვლევითი ნაშრომები შესაძლებელია გამოქვეყნებული იყოს როგორც Web Of Science-ში, ასევე Scopus-ის ინდექსირებულ ჟურნალებში.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რამდენი პროცენტია მსგავსების დასაშვები მაჩვენებელი.
დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დავით მახვილაძემ, განაცხადა, რომ აღნიშნული საკითხი უნიფიცირებულია და მთელი დაწესებულების მასშტაბით ერთი წესი მოქმედებს. ჟურნალებში გამოქვეყნების შესახებ, მან დაადასტურა საბჭოს წევრის, ანზორ ბერიძის მიერ გაკეთებული განცხადება და განაცხადა, რომ ყველა რეკომენდაციის წინ, სანამ საბჭო სათათბირო შესვენებაზე გადიოდა ზუსტდებოდა აღნიშნული საკითხი. მისი თქმით, ამ ეტაპზე არსებული რეალობა არის ის, რაც გაწერილია 10.11 პუნქტში, სადოქტორო დებულების ჩანაწერი არის იგივე, რაც იყო წინა აკრედიტაციის დროს, საუბარია ჩანაწერზე, რომლითაც ტექნიკურმა უნივერსიტეტმა საკმაოდ დიდი ნაბიჯი გადადგა იმ რეგულაციასთან მიმართებით, რაც მანამდე იყო, თუ დაწესებულება გააკეთებდა ამაზე დიდ დაშორებას ძველსა და ახალს შორის გაჩნდებოდა ძალიან დიდი ორმო, რომელშიც ჩავარდებოდა დოქტორანტების უმრავლესობა, ამიტომ აქვთ ჩანაწერი, რომ 3 ნაშრომი აუცილებლად უნდა ჰქონდეთ და აქედან ერთი მაღალრეიტინგულ, რეფერირებად გამოცემაში, რექტორის მოადგილის დონეზეც და ცენტრალიზებულადაც, ფუნქციონირებს სტრუქტურული ერთეული მეცნიერების დეპარტამენტი, სარეკომენდაციო ჩამონათვალი დახვეწის პროცესშია და მისი თხოვნა იყო აქცენტი გაკეთებულიყო, ვინაიდან გარკვეულ ფინანსებს უკავშირდებოდა. ასევე საუბარი იყო, რომ თანხა არ დაჯდომოდა სტუდენტს, ამ კუთხით შევიდა ცვლილებები სწავლის საფეხურში, გაიზარდა დოქტორანტურის სწავლის საფასური, უნივერსიტეტმა შექმნა პროგრამისთვის, ჩამოაყალიბა თავისი ფინანსური მენეჯმენტი, რომ სრული ხელშეწყობა ჰქონოდა დოქტორანტს საზღვარგარეთ რომელიმე სამეცნიერო აქტივობაში მონაწილეობასა თუ გამოქვეყნების ხარჯის დაფარვა, გარდა ამისა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სამეცნიერო სასწავლო კლასტერული სისტემა შემოდის, რაც დოქტორანტს მეტად გაუმარტივებს გამოქვეყნებას, ანუ სხვა კუთხით ცვლილება არ ჩაუწერიათ, მისი განმარტებით, არ მუშაობენ იმისთვის რომ შემდეგ საბჭოს წინაშე ამაყად წარსდგენენ, რომ ეს წესი აქვთ და თავი მოაწონონ ამ კუთხით. უნიფიცირებულად ამ მოთხოვნის დაყენება სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის იქნება საკონტროლო გასროლა დოქტორანტებთან, დაწესებულება მაქსიმალურად ცდილობს რომ დოქტორანტებმა ამ გამოცემისთვის შექმნან თავისი ნაშრომები. ასევე, დაწესებულების წარმომადგენლები ამზადებენ მაღალრეიტინგული ჟურნალების სარეკომენდაციო სიას მიმართულებების მიხედვით.
საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ, განმარტა, რომ საბჭო საკმაოდ ფრთხილად უდგებოდა ამ საკითხს, შესაბამისად არის რეკომენდაციები სადაც არის აღნიშნული და არის რეკომენდაციები სადაც არ არის, ექსპერტთა ჯგუფის პოზიციის დაფიქსირების შემდეგ წერდნენ ან არ წერდნენ აღნიშნულ რეკომენდაციას. ის დაინტერესდა თუ რა პერსპექტივაში ეჩვენებოდათ შესაძლებელი, რადგან საბჭოს აღნიშნული რეკომენდაცია ძალიან ბევრ პროგრამასთან დაკავშირებით აქვს გაწერილი, რომ სამეცნიერო ბაზები მაინც დადასტურდეს სადაც გამოქვეყნებული სტატიები ჩაითვლება რელევანტურად.
დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დავით მახვილაძემ, განაცხადა, რომ ამ ეტაპზე მათი მოცემულობა ემთხვეოდა მის მიერ აღწერილს.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა ნინო ლომიძემ, განაცხადა, რომ დოქტორანტურის დებულებაში არსებობს მსგავსი ჩანაწერი 10.11 პუნქტთან დაკავშირებით წარმოდგენილია, რაც ექსპერტმაც დაადასტურა, დებულებაში ეს ჩანაწერი ნამდვილად არსებობს, დაწესებულებას აქვს ნუსხაც, რომელიც სადისერტაციო საბჭოს ექნება

და ნაშრომის განხილვისას დაადგენს ეს ნაშრომი შეესაბამება თუ არა არსებულ კრიტერიუმებს, აქედან გამომდინარე, ნუსხაზე მუშაობა უკვე მიმდინარეობს დაწესებულებაში. საბჭოს წევრის, ეკატერინე ნაცვლიშვილის კითხვის შესახებ მან განაცხადა, რომ შეცვლილია შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, არ არის ჩარჩენილი ძველი, ავტორიც კი შეცვლილია ნამდვილად არ ხდება ზეპირი შეფასება, შეფასება მიმდინარეობს რეფერატის, პრეზენტაციისა და დისკუსიის მეშვეობით, გაწერილია კრიტერიუმები, მიმდინარე შეფასება კი გულისხმობს შუალედურ გამოცდას, რომელიც ტარდება წერილობითი ფორმით, ღია კითხვებიანი ტესტით, რაც შეეხება დასკვნით გამოცდას, დოქტორანტი წერს ესსე-ს და ორ თეორიულ საკითხს. დადარების საკითხთან დაკავშირებით, მან განმარტა, რომ წარდგენილია ერთ გვერდიანი დოკუმენტი, რომელშიც ასახულია ბმულები, რომელიც ესპანეთით იწყება, დაწესებულებას დამუშავებული აქვს აღნიშნული პროგრამები, გამოცდილება გაზიარებული აქვთ სხვადასხვა სასწავლო კურსებში. ასევე, გაძლიერდა პრაქტიკული კურსი, ძირითადი აქცენტი გაკეთებული ჰქონდათ ლექციაზე, ახლა კი 67% არის მთლიანად პრაქტიკული ნაწილი.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა განმარტა რეკომენდაციის არსი, რომ სწავლის შედეგის მიღწევა იყო სათუო, ერთი ის, რომ სწავლის შედეგი თვითონ დასაკორექტირებელი იყო, სილაბუსის სპეციფიკიდან, შინაარსიდან გამომდინარე; ამასთანავე, ის სწავლის შედეგი, რასაც სილაბუსში წერს ავტორი/საგანმანათლებლო დაწესებულება, უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი სწავლებისა და შეფასების მეთოდებით არ არის მხოლოდ ზეპირი გამოკითხვა, საუბარია წერილობით გამოკითხვაზე, რომელიც ასევე გამოიყენება. მან განიხილა ერთ-ერთი სილაბუსი „სწავლების მეთოდები“, რომელიც გულისხმობს, რომ დოქტორანტმა სასწავლო პროცესში უნდა გამოიყენოს ის ცოდნა-უნარები და სწავლების ის მეთოდოლოგია, რა მეთოდებიც ისწავლება კურსის ფარგლებში. სწავლების მეთოდები თემატიკის სახით ჩაშლილია სილაბუსში და ამას ასწავლიან. ინოვაციური დიზაინიც არის პრაქტიკაში. მაგრამ, რაც შეეხება ზოგიერთ სწავლის შედეგს - მაგ.: „ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდების/მიდგომების შემუშავებისათვის, რომლებიც ორიენტირებულია ახალი ცოდნის შექმნაზე“, მისთვის გაუგებარია, თუ რატომ ან როგორ არის ეს შედეგი აღნიშნულ სასწავლო კურსთან დაკავშირებული და მითუმეტეს, როგორ მიირწევა სილაბუსის ფარგლებში გაწერილი თემატიკით, სწავლება-შეფასების აქტივობებითა თუ საკიტხების შესასწავლად შერჩეული ლიტერატურით. ის დაინტერესდა თუ როგორ აფასებენ აღნიშნულ სწავლის შედეგებს. მისი მოსაზრებით, სწავლის შედეგი (1. „ცოდნას იყენებს ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვის, განხორციელებისა და ზედამხედველობისათვის, ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდების/მიდგომების შემუშავებისათვის, რომლებიც ორიენტირებულია ახალი ცოდნის შექმნაზე“) საერთოდ არ არის აღნიშნული კურსის მიზანი. აღნიშნული კითხვა დაისვა მაშინაც - წინა საბჭოსზე პროგრამის განხილვისას და ახლაც. რაც იმას ნიშნავს, რომ ან ტექნიკური ხარვეზია და ძველი სილაბუსია გადმოგზავნილი (თუმცაღა, სიმულაციის მეთოდი თემის სახითაა დამატებული, რაც ამ ვარაუდს არ ასაბუთებს), ანდა ამ მიმართულებით არსებითი ცვლილება არ განხორციელებულა.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დავით მახვილაძემ, განაცხადა, რომ სილაბუსი დამტკიცებულია 2021 წლის 15 ოქტომბერს, მათ შორის შეხვდა ერთი ლიტერატურა, რომელიც შეცვლილია.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, განაცხადა, რომ პირველი სწორედ აღნიშნული კითხვა დასვა, იყო თუ არა სილაბუსი შეცვლილი.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დავით მახვილაძემ, განაცხადა, რომ აღნიშნული საკითხები აქტუალური იყო.

საბჭოს წევრი, ეკატერინე ნაცვლიშვილი, დაინტერესდა თუ როგორ უნდა აეხსნა გარემოება, რომ ძველ სილაბუსში, რატომღაც მეცხრე კვირის საკითხად აღმოჩნდა სიმულაციური მეთოდი, რომელიც ძველ სილაბუსში არ იყო.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დავით მახვილაძემ, აღნიშნა, რომ პასუხისმგებელი იყო თავის სიტყვებზე, ლიტერატურასთან იგივე პრობლემა დარჩა, თუმცა პროგრამა ფასდება იმით, რაც წარუდგინეს ექსპერტთა ჯგუფს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:42
დასრულების დრო: 18:03

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტის დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სატყეო საქმის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილ ანგარიშზე, აკრედიტაციის პირობების შესრულების მიზნით სამი თვის ვადაში მონიტორინგის გახორციელების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0
აკრედიტაციის საბჭომ დაწესებულებას შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

- ანტიპლაგიატის პროგრამის ნაწილში საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, გადაიხედოს მზგავსების კოეფიციენტის 50%-იანი ზღვარი.
- რეკომენდირებულია სასწავლო კურსში „სწავლების მეთოდები“ გადაიხედოს დაზუსტდეს სწავლის შედეგები სასწავლო კურსის სფეციფიკის გათვალისწინებით, ამასთან სწავლებისა და შეფასების მეთოდები შესაბამისობაში მოვიდეს მისაღწევ შედეგებთან

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის 2^{11} პუნქტის, 31-ე მუხლის საფუძველზე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სატყეო საქმის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით აკრედიტაციის საბჭომ გადაწყვიტა, აკრედიტაციის პირობების შესრულების მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამაზე მონიტორინგის განხორციელება ანგარიშის განხილვიდან 3 თვისვადაში, 2022 წლის 4 ივნისისათვის.

18:04 საათზე საბჭო დატოვა ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

6. მეექვსე საკითხი:სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „აგროინჟინერიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლოპროგრამისდასახელება	აგროინჟინერია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	11.06.2021 გადაწყვეტილება N 559492
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	აგროინჟინერია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 8
9	კვალიფიკაციი სდასახელება	აგროინჟინერიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელებადა კოდი (ISCED – F – 2013)	0719 - ინჟინერია და საინჟინრო საქმე - არაკლასიფიცირებული
12	სწავლებისენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0192, ქ.თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. N17, 11 კორპუსი.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადა ეკატერინე შაკიაშვილმა.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა, მამუკა ბენაშვილმა, განაცხადა, რომ წინა აკრედიტაციის საბჭომ დატოვა 8 რეკომენდაცია, მათი უმრავლესობა დაწესებულებამ შეასრულა.

ექსპერტმა საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული გარემოებები რეკომენდაციების შესრულების შესახებ:

1. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვეშრომის ბაზრის მოთხოვნებთან - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერწარმოდგენილია მასალები, კერძოდ კითხვარი, 30-მდედამსაქმებლის გამოკითხვის შედეგები დასაკორექტირებული სადოქტორო პროგრამა, რომლითაცდგინდება რომ რეკომენდაცია შესრულებულია;

2. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის უფლება აქვს პირს,რომელიცფლობს მაგისტრის კვალიფიკაციას ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს(სწავლისსფეროების კლასიფიკატორის დეტალური სფეროს - რეკომენდაციის შესაბამისად აგროინჟინერიისსადოქტორო პროგრამიდან ამოღებული იქნარეკომენდაციაში მითითებული მიმართულებები,ამრიგად რეკომენდაცია ითვლება შესრულებულად;

3. რეკომენდირებულია სასწავლო კურსების (მაგ. „სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა“ და „კვლევის მეთოდები აგროინჟინერიაში“) შესაბამისად მკაფიოს გაიწეროს შეფასების კრიტერიუმები - ანგარიშში წარმოდგენილ სილაბუსებში რეკომენდაციისშესაბამისად შეტანილია ცვლილებები, კერძოდ:სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა და კვლევისმეთოდები აგროინჟინერიაში გაწერილია შეფასებისკრიტერიუმები, რომელიც ექსპერტის მოსაზრებით, მკაფიო დაგასაგებია სტუდენტისათვის.ამრიგად რეკომენდაცია შეიძლება ჩაითვალოსშესრულებულად;

4. რეკომენდირებულია რიგი სასწავლო კუსებში შინაარსი და სწავლის შედგებიშესაბამისობაშიმოვიდეს სწავლის სადოქტორო საფეხურთან - დოქტორანტურის საგანამანათლებლო პროგრამის„აგროინჟინერია“ შემდეგ სასწავლო კურსებში:

წყლისრესურსების ხარისხი და აგროეკოლოგიური სოფლისმეურნეობა, სოფლის-მეურნეობა, ეკონომიკურიეფექტიანობის მართვა დაცირკულარული ეკონომიკა გახორციელებული ცვლილებების საფუძველზეშეიძლება ითქვას, რომ რეკომენდაცია შესრულებულია;

5. რეკომენდირებულია სადისერტაციო ნაშრომების შესრულების დროს გამოყენებულ იქნასუახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ლიტერატურა - მოცემულ ეტაპზე პროგრამის განმახორციელებლებსმნიშვნელოვანია ჰქონდეთ განსაზღვრულისადისერტაციო ნაშრომების შესრულების წესი, სადაცგაწერილი იქნება უახლესი ლიტერატურის გამოყენებისვალდებულება. დისერტაციეზე მუშაობის პროცესიდაწყებულია და შესაბამისად ახალი ლიტერატურის გამოყენების ვალდებულება ახლავე უნდა ეცნობოთსადისერტაციო ნაშრომების ხელმძღვანელებს დასტუდენტებს. ექსპერტის თქმით, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოსტექნიკურმა უნივერსიტეტმა წარმოდგინასწავლისშედეგების მონიტორინგის მექანიზმი - სწავლისშედეგებში „იყენებს“ სადაც გაწერილი აქვს თანამედროვე ცოდნის გამოყენების ვალდებულება,ხოლო ამავე დოკუმენტში სწავლის შედეგებისშესრულების მდგომარეობაში აღნიშნავს, რომრეკომენდაცია შესრულებული იქნება 3 წლის შემდეგ,როდესაც აკრედიტირებულ პროგრამისთვითშეფასების ანგარიშს წარმოადგენენ.ამრიგად, ექსპერტს მართებულად მიაჩნიააღნიშნულირეკომენდაციის შესრულებისდასტურადსსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტმა წარმოადგინოს რაიმე დოკუმენტი სადაცგაწერილიიქნება დისერტაციების შესრულების წესები, ან რაიმე დამამტკიცებელი დოკუმენტი, სადაცატყობინებენ სადისერტაციო ნაშრომებისხელმძღვანელებს და სტუდენტებს თანამედროველიტერატურის გამოყენების ვალდებულებას;

6. რეკომენდირებულია სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობადგანისაზღვროსსაერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ინდექსირებულ იმპაქტ-ფაქტორის მქონეჟურნალშისტატიის/პუბლიკაციის გამოქვეყნება - ექსპერტის აზრით, მოცემულ ეტაპზე პროგრამის განმახორციელებლებს მნიშვნელოვანია ჰქონდეთ განსაზღვრულისადისერტაციო ნაშრომების შესრულების წესი, სადაცგაწერილი იქნება უახლესი ლიტერატურის გამოყენებისვალდებულება. მისი თქმით, დისერტაციეზე მუშაობის პროცესიდაწყებულია და შესაბამისად ახალი ლიტერატურის გამოყენების ვალდებულება ახლავე უნდა ეცნობოთსადისერტაციო ნაშრომების ხელმძღვანელებს დასტუდენტებს. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოსტექნიკურმა უნივერსიტეტმა წარმოდგინასწავლისშედეგების მონიტორინგის მექანიზმი - სწავლის შედეგებში „იყენებს“ სადაც გაწერილი აქვსთანამედროვე ცოდნის გამოყენების ვალდებულება,ხოლო ამავე დოკუმენტში სწავლის შედეგებისშესრულების მდგომარეობაში დაწესებულება აღნიშნავს, რომრეკომენდაცია შესრულებული იქნება 3 წლის შემდეგ, როდესაც აკრედიტირებული პროგრამისთვითშეფასების ანგარიშს წარმოადგენენ;

7. რეკომენდირებულია საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობისთვის დეტალურიდაპროგრამის სამოქმედო გეგმასთან შესაბამისი ბიუჯეტის შემუშავება - ექსპერტის თქმით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერწარმოდგენილია (ანგარიშში მითითებულია ინტერნეტბმული) დოქტორანტურის დებულება, რომლის მე-10მუხლის 10.11 პუნქტში გაწერილია, რომ დოქტორანტი ვალდებულია ნაშრომის სადისერტაციო საბჭოში წარდგენამდე, წარმოადგინოს სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველი და დოქტორანტის სწავლის პერიოდში, დადგენილი წესის შესაბამისად, გამოქვეყნებული ნაშრომები (სულ მცირე სამი სამეცნიერო სტატია, რომელთაგან ერთიმაინც უნდა იყოს თანაავტორების გარეშე). ამრიგად, ექსპერტის განმარტებით, შესაძლებელია რეკომენდაცია ჩაითვალოს შესრულებულად;

8. გაძლიერდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობისუზრუნველსაყოფად - ექსპერტის თქმით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტმა წარმოადგინა - დოკუმენტი „შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმი“, სადაცაღნიშნავენ, რომ პროგრამამ აკრედიტაცია მიიღო 2021 წლის 11ივნისს, მოცემული ეტაპისათვის არ მომხდარა დისერტაციისდაცვა, შესაბამისად ვერ ხერხდება სწავლის შედეგებისსრულყოფილი მიღწევის სრულყოფილი მონიტორინგი.აღსანიშნავია, რომ რეკომენდაციის თანახმად მონიტორინგისშედეგები არ მოითხოვება. შესაბამისად, ექსპერტის განმარტებით, დანართშიწარმოდგენილი დოკუმენტი „შიდა ხარისხის მონიტორინგისმექანიზმი“ საკმარისია იმისათვის რომ რეკომენდაციაჩაითვალოს შესრულებულად.

ექსპერტის მოსაზრებით დაწესებულებამ უნდა დააფიქსიროს მოსაზრება მხოლოდ მე-5 რეკომენდაციას მიმართებით, თუ რატომ არ შეუძლიათ განახორციელონ მონიტორინგი იმის დასადგენად არის თუ არა გამოყენებული თანამედროვე ლიტერატურა.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ეს კითხვა ვიზიტის განმავლობაში უნდა დასმულიყო დაწესებულებასთან.

ექსპერტმა მამუკა ბენაშვილმა განაცხადა, რომ აკრედიტაციის ვიზიტის დროს ნახეს დაცული დისერტაციები, სადაც გამოყენებული ლიტერატურა იყო საკმაოდ მოძველებული, ამიტომ გაიცა რეკომენდაცია (შემდეგში საბჭომაც გაიზიარა), რომ დაწესებულებას მონიტორინგის შედეგად წარმოედგინათ დოკუმენტი მომავალში მსგავსი შემთხვევის თავიდან აცილების მიზნით, ამ ეტაპზე კი დაწესებულებამ ანგარიშში ჩაწერა, რომ ამ შედეგის ჩვენება ამ ეტაპზე შეუძლებელია და შესაძლებელი გახდება მხოლოდ 3 წლის შემდეგ, შესაძლებელია თუკი ანგარიში მიიღება ცნობად, რეაკრედიტაციისას ექსპერტთა ჯგუფმა აღმოაჩინოს დაცული დისერტაცია, სადაც იქნება მოძველებული ლიტერატურა. შესაძლებელია დაწესებულებამ წარმოადგინოს რაიმე დოკუმენტი, სადაც აფრთხილებენ დოქტორანტებს/სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელებს ახალი ლიტერატურის გამოყენების აუცილებლობის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა დავით მახვილაძემ განაცხადა, რომ დასკვნაში დაშვებულია ტექნიკური ხარვეზი, აღწერილობითი ნაწილები ქვევით არის ჩამოწეული. შენიშვნა არსებობს მხოლოდ ერთ რეკომენდაციასთან მიმართებით, სხვა ნაწილებში ყველაფერი შესრულებულია. მეხუთე რეკომენდაციის შესახებ მისი განცხადებით დაწესებულება არ ფიქრობს, რომ მხოლოდ 3 წელში შეუძლიათ აღნიშნულის დადასტურება, ამიტომ შესაძლებელია ადგილზე გადამოწმდეს, არსებობს დოქტორანტურის დებულება, რომელიც ვიზიტის დროსაც არსებობდა, მეხუთე დანართის ბ ქვეპუნქტი, სადაც პირდაპირ არის მითითებული, რომ ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილში აქცენტი უნდა მოხდეს ბოლო ხუთ წელში გამოცემულ მასალაზე, თანამედროვე ლიტერატურა მათი დებულების მიხედვით არის ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოცემული ლიტერატურა, თუმცა საუბარია დისერტაციებზე, რომელთა დაცვაც ჯერ არ ყოფილა რეკომენდაციების გაცემის შემდეგ, ბუნებრივი ამ ნაწილზე ვერ ისაუბრებდნენ ექსპერტებთან.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ნინო ლომიძემ, განაცხადა, რომ ტექნიკური ხარვეზია, მაგრამ დისერტაციის დაცვისთანავე გააკეთებს დაწესებულება მონიტორინგს.

პროგრამის ხელმძღვანელმა, დავით გუბელაძემ, განაცხადა, რომ ის დისერტაცია დაცული იყო სხვა პროგრამაზე, იქ ძველი ლიტერატურა კი არ ჰქონდა გამოყენებული, არამედ დისერტანტს გამოყენებული აქვს ფუნდამენტალური ლიტერატურა, რომელსაც გაეცნო, ასევე არის ახალი ლიტერატურაც, თუმცა ნაშრომი ძველ, ფუნდამენტალურ ლიტერატურაზე დაყრდნობით შეიქმნა, ახლა კი არა მარტო დებულება არსებობს, არამედ რექტორის ბრძანებაც არის, რომ დისერტაციებში არ უნდა გამოიყენონ ძველი ლიტერატურა. მისი თქმით, არის ჟურნალები, რომლებშიც ზოგიერთ სტუდენტს უკვე გამოქვეყნებული აქვს პროფესორთან ერთად ნაშრომი, ჯერ არ მიუღიათ დოქტორანტი და შესაბამისად ვერც ამბობენ რამეს, თუმცა აქვთ მზაობა პირველივე წელს ჩაატარონ მონიტორინგი. მისთვის წარმოუდგენელია მეცნიერ-ხელმძღვანელი, რომელსაც თანამედროვე წყაროები აქვს გამოყენებული. სულ ახალი 600 გვერდიანი წიგნებია გამოცემული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ვრცელდებოდა თუ არაიმპაქტ-ფაქტორის წესი ყველა სადოქტოროზე.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დავით მახვილაძემ, აღნიშნა, რომ ეს საუნივერსიტეტო წესია, თუმცა რაზეც საბჭოს წევრი საუბრობდა, რომ პროგრამაზე ინდივიდუალურად მომხდარიყო განხილვა, ამ პროგრამის ფარგლებში სწორედ საერთაშორისოდ ინდექსირებულ ბაზებზეა საუბარი, რადგან პროგრამა იძლევა ამის საშუალებას, ამ რეკომენდაციებში სწორედ იმპაქტ-ფაქტორი ჩაიწერა, შესაბამისად პროგრამას ამ ნაწილში პრობლემა არ აქვს.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა იყო თუ არა აღნიშნულ პროგრამაზე ჩამონათვალი.

პროგრამის ხელმძღვანელმა, დავით გუბელაძემ, განმარტა, რომ დაწესებულება არ იზღუდება, მიიღება ყველა ჟურნალი, რომელიც კოდირებულია, როგორც მაპროფილებელი ჟურნალი მიიღება, უნდა განიხილებოდეს.

საბჭოს წევრმა ანზორ ბერიძემ განაცხადა რომ უნდა დაფიქსირდეს კონკრეტული ჟურნალი ითვლება თუ არა ინდექსირებულად დარგის გათვალისწინებით, რადგან თუ სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე ვერ შეძლებდა რეკომენდაციების შესრულებას, ვერც სხვა შეძლებდა. ის დაინტერესდა, გეგმავდნენ თუ არა დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე სამეცნიერო ბაზების დაფიქსირებას.

პროგრამის ხელმძღვანელმა, დავით გუბელაძემ, განაცხადა, რომ ადმინისტრაციამ სთხოვა განმახორციელებელ პერსონალს ჩამოეწერათ მათთვის მისაღები ინდექსირებული ჟურნალები. ხელმძღვანელს, რომელსაც იმის განმარტება სჭირდება, რომ დოქტორანტმა უახლესი ლიტერატურა უნდა გამოიყენოს, არც ხელმძღვანელი უნდა იყოს და საერთოდ ყველაფრის უფლება ჩამოერთვას.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ პირდაპირ ბოლო 5 წელზე ხდება მითითება.

ექსპერტმა, მამუკა ბენაშვილმა, განაცხადა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია შემთხვევით არ დარჩა და მონიტორინგს გადაეცა, რომ დაწესებულებას მოეთხოვა შესრულების თაობაზე

განმარტების გაკეთება, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრი კვლევა აქვს უნივერსიტეტს, ნახეს ნაშრომები, რომელთა ნაწილი ეყრდნობოდა ძველ ლიტერატურას, მათ შორის მრავალრიცხოვანი რუსული ლიტერატურა, რომელიც წინა საუკუნის შუა რიცხვებით თარიღდებოდა, სწორედ ამიტომ დაევალათ განემარტათ რომ დებულება თარიღდება ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტამდე პერიოდით, რაც ნიშნავს, რომ დებულება არსებობდა, მაგრამ მაინც ნახეს მოძველებული ლიტერატურა ნაშრომში, რაც გულისხმობს, რომ დამატებით ღონისძიებაა გასატარებელი. ექსპერტის თქმით, სამეცნიერო სტატიებთან დაკავშირებით პრობლემა არ ყოფილა.

პროგრამის ხელმძღვანელმა დავით გუბელაძემ განაცხადა, რომ საუბარია დოქტორანტის ნაშრომზე, რომლის ხელმძღვანელიც გარდაიცვალა. წინა საუკუნეების სახელმძღვანელო რომ გამოიყენება იმის მითითება აუცილებელია, რადგან მას ეყრდნობა შემდეგ და ვითარდება ნაშრომი.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, განაცხადა, რომ მესამე რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ერთი ნაწილი საერთოდ არ არის შესრულებული, დაინტერესდა იყო თუ არა ესეც ტექნიკური ხარვეზი.

პროგრამის ხელმძღვანელმა, დავით გუბელაძემ, დასძინა, რომ საუბარი იყო საუნივერსიტეტო სილაბუსზე.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ რეკომენდაცია იყო შეფასების სისტემაზე.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, განაცხადა, რომ უილკოქსის სახელმძღვანელო, რომელიც შერჩეულია ერთ-ერთ ძირითად რესურსად ისევე, როგორც სხვა წყაროები, ვერანაირად ვერ გაიყვანს სტუდენტს სწავლის შედეგზე, მითუმეტეს, რომ სილაბუსის სწავლის შედეგი საკმაოდ „ამბიციურია“.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ნინო ლომიძემ, აღნიშნა, რომ მესამე რეკომენდაცია (რეკომენდირებულია სასწავლო კურსების (მაგ. „სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა“ და„კვლევის მეთოდები აგროინჟინერიაში“)შესაბამისად მკაფიოს გაიწეროსშეფასებისკრიტერიუმები) იყო შეფასების კრიტერიუმებზე, და რა რეკომენდაციაც იყო გაცემული, დაწესებულებამ ის გაითვალისწინა და შესაბამისად შეცვალა.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, განაცხადა, რომ საბჭოს საოქმო ჩანაწერში დეტალურად იყო გაშლილი და დაზუსტებული,თუ რა იგულისხმებოდა რეკომენდაციაში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 18:39

დასრულების დრო: 18:52

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტის დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „აგროინჟინერიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილ ანგარიშზე, აკრედიტაციის პირობების შესრულების მიზნით სამი თვის ვადაში მონიტორინგის გახორციელების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ დაწესებულებას შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

- ანტიპლაგიატის პროგრამის ნაწილში საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, გადაიხედოს მზგავსების კოეფიციენტის 50%-იანი ზღვარი.
- რეკომენდირებულია სასწავლო კურსებში (მაგ. „სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა“ და „კვლევის მეთოდები აგროინჟინერიაში“)დაზუსტდეს სწავლის შედეგების ფორმულირება და დაემატოს რელევანტურილიტერატურა.

რეკომენდირებულია დაწესებულებამ განსაზღვროს კვლევითი მიმართულების საერთაშორისო სამეცნიერო მაღალრეიტინგული და ინდექსირებული ლიტერატურის მონაცემთა ბაზების ზოგადი ჩამონათვალი.

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის 2^{11} პუნქტის, 31-ე მუხლის საფუძველზე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „აგროინჟინერიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით აკრედიტაციის საბჭომ გადაწყვიტა, აკრედიტაციის პირობების შესრულების მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამაზე მონიტორინგის განხორციელება ანგარიშის განხილვიდან 3 თვის ვადაში, 2022 წლის 4 ივნისისათვის.

7. მეშვიდე საკითხი: "შპს ევროპის უნივერსიტეტის „საბაზო საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

2021 წლის 21 დეკემბრის №11010 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადა ეკატერინე ნაცვლიშვილმა და მაკა კაჭარავამ

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა, ლალი ოდიშვილმა წარმოადგინა შუამდგომლობა შპს ევროპის უნივერსიტეტის „საბაზო საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 21 დეკემბრის №11010 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ; სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან ცენტრში შემოვიდა წერილი, რომელშიც მითითებულია რომ 2021 წლის 21 დეკემბერს საბჭოს სხდომაზე გასული საკითხები, გარდა ერთისა ძალაში შედიოდა სხდომის ჩატარების დღეს. თუმცა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისათვის გაგზავნილი ინფორმაციის შესაბამისად ყველა გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად ასახა 2021 წლის 21 დეკემბერი. თუმცა გადაწყვეტილებების გაფორმების დროს შპს ევროპის უნივერსიტეტის „საბაზო საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ გადაწყვეტილება გამოქვეყნების დღით შევიდა ძალაში. გამომდინარე იქედან რომ "EMIS"-ს ბაზაში მითითებულ მონაცემს ვერ ცვლის, საჭირო გახდა გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღის ცვლილება, რაზეც დაწესებულებაც თანახმაა.

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს აღნიშნული ინიცირების შესახებ, რის საფუძველზეც, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ევროპის უნივერსიტეტის „საბაზო საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის №11010 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59 - ემუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შპს ევროპის უნივერსიტეტის „საბაზო საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო

პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის №11010 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტსა და დანართ N1-ში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება:
1.საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2021 წლის 21 დეკემბერს.
2.გადაწყვეტილების დანართ N1-ში გასწორდეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი და მიეთითოს: 2021 წლის 21 დეკემბერი, ხოლო გადაწყვეტილების ვადის გასვლის თარიღად 2025 წლის 21 დეკემბერი.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 18:58 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით